

ქართული ენის
სწავლის
სამეცნიერო
ცენტრი

პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა



K 152.515/3

ქართული ენის
სწავლის
სამეცნიერო
ცენტრი

ქართული ენის
სწავლის
სამეცნიერო
ცენტრი

მანამ სუკობიძე

**ქართული ე.ე.
ნეკროსოფი**

K 152.515
3



გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი 1973

615.834 (47.922)

Ш162



Книга содержит историю развития курорта Цхалтубо. В ней описывается бальнеологическая зона, гидрогеология и физико-химические свойства цхалтубских источников; даются сведения о методике лечения цхалтубскими ваннами. Указаны применяемые комплексы (нормативы) лечения и те заболевания, которые показаны для лечения в Цхалтубо.

Ш $\frac{0051-}{M 601(08)-73}$ 373-73

93 23. 28. 3; 33. 664 2162

-333

წყალტუბოს ისტორიისათვის

სახელწოდება „წყალტუბოს“ შესახებ ერთიანი აზრი არ არსებობს.

აი როგორ შეეცადა აკად. აკაკი შანიძე ამ სიტყვის ახსნას: „ჭანურში ქართულ ტეფ-ს (რომელიც ტფილისი გვაქვს) ტუბ ან ტიბ შეესატყვისება. აქედან ბტუბურ „ვთბები“... ეს კოლხური ტუბუ შემონახულია წყალტუბოში, რომელიც განთქმული საკურორტო ადგილის სახელია, ოღონდ მისი ბოლოკიდური უ გადმოკეთებულია ქართულის კვალობაზე ო-დ (როგორც მოხდა იესუ-ში: იესუ — იესო), თანაც პირველი ნაწილი მთლად გაქართულებულია: წყარ-ტუბუ წყალ-ტუბო. ტიბ-უ შემონახული უნდა გვქონდეს გვიშტიბ-ში, რომელიც სოფლის სახელია და იქვე ახლოსაა წყალტუბოსთან“.

წყალტუბოს წყაროების პირველ მკვლევარს კ. მაჭავარიანს (1915) მიაჩნდა, რომ „წყალტუბო“ ხაწარმოებია მეგრული წყარ-ტიბუსაგან (წყარი-წყალი, ტიბუ-თბილი), რაც თბილ წყალს ნიშნავს.

წყალტუბოს კოლხური ეტიმოლოგია დაკავშირებულია იმ თქმულებასთან, რომელიც ამ კურორტის წყაროების აღმოჩენას მწყემსს მიაწერს. თქმულების მიხედვით, მწყემსს, რომელიც ნახირს აძოვებდა ამ მიდამოებში, ქარები აწუხებდა, იგი შემთხვევით წაწყდომია თბილი წყლის „ტუმბოს“ (resp), ჩაუყვია მასში დაავადებული ფეხები და უჩვეულო შვება უგრძენია. ეს სასწაულებრივი ამბავი მწყემსებისაგან „დახუთულ

სპეგ-2000
შემოწმებულია



მეგრელების დიოფალს“ შეუტყვია. თბილ წყალში რამდენჯერმე ბანაობის შემდეგ ისიც განკურნებულა და საქვეყნოდ გაიტყვა ამ წყაროებს სახელი.

ლეგენდა გვიან საუკუნეებში უნდა იყოს შეთხზული. უფრო ადრინდელი ისტორიული წყაროებით კი წყალტუბო ჯერ კიდევ XII—XIII საუკუნეებში ყოფილა ცნობილი როგორც სამკურნალო ადგილი.

თედო ჟორდანიამ აღმოაჩინა და გამოაქვეყნა დავით ნარინის დროინდელი სიგელი: „მამული ჩემი მკუიდრი, პატრონთაგან ბოძებული, მალლაკს აბანოისა სახლი პირველცა სადეკანოზოდ შემექმნა ხუთმეტითა ლიტრითა ზეთითა ხახულისა ღვთისმშობლისათვის შემეწირა და აწცა, ვითა მომიხსენებია, განაღამც ჰაგრევე მას ჰმსახურებდეს“¹.

სიგელს (თ. ჟორდანია მას 1246—1250 წლებით ათარიღებს) ყურადღება პირველად აკად. ნ. ბერძენიშვილმა მიაქცია. მანვე აღნიშნა, რომ მალლაკს მდებარე „აბანოისა სახლი“ წყალტუბოს აბაზანებს გულისხმობსო.

ამ საბუთის მიხედვით, XII—XIII საუკუნეებში წყალტუბო, როგორც გეოგრაფიული ადგილი, ამ სახელით არ უხდა არსებულები, რადგან მალლაკის სახელწოდებით შეუწირავს იგი იაკობ დეკანოზს ხახულის ღვთისმშობლისათვის.

ვახუშტი ბაგრატიონი „საქართველოს გეოგრაფიაში“ ჯერდს უვლის და არაფერს ამბობს წყალტუბოს შესახებ. მაშინ, როდესაც მას არ გამორჩენია და მოხსენებული აქვს წყალტუბოს შემოგარენი—გეგუთი, ქუტირი, ფარცხანაყახევი, მალლაკი, გუბისწყალი, ჩუნეში, გუმათი, გვასტიბე. ქვიშილეთი, გორდი, ხონი და ა.შ.

აკად. ივანე ჯავახიშვილის თქმით, ვახუშტი ბაგრატიონის „საქართველოს გეოგრაფიაში“ საკმაოდ მოიპოვება ცნობები საქართველოში XVIII საუკუნის პირველ ნახევრამდე ცნობილ სამკურნალო წყლებსა და მათ თვისებებზე. ამის გარდა, ვახუშტის ყვილაზე უკეთესად ქართლი და შემდეგ კახეთი ჰქონია შესწავლილი, დასავლეთ საქართველო და მესხეთი, ანუ სამცხე-საათაბაგო ნაკლებ სცოდნია. ამიტომ... და-

¹ თ. ჟორდანია, ქრონიკები, II. ტფილისი, 1897, გვ. 128.

სავლეთ საქართველოს და მესხეთის გეოგრაფიული მიმოხილვაში ვახუშტს ამგვარი ცნობები თითქმის არ შეუტანია.¹

უხუცესი კურორტოლოგი პროფ. დიმიტრი ჯავახიშვილი თავს იკავებს „წყალტუბოს“ განმარტებაზე.

ჩვენთვის ცნობილი წერილობითი საბუთები, სადაც წყალტუბო პირველადაა მოხსენებული, XVI საუკუნის ეკუთვნის. კერძოდ, იმერეთის მეფეს გიორგის 1576 წელს თავად წულუკიძისათვის უბოძებია ადგილი „წყალტუბოს გაღმა ბოლო მალლაკის საზღვრამდის“² საინტირესოა, რომ სიგილში ნახსენები წყალტუბო არც ადგილმდებარეობას გულისხმობს და არც აბანოებს, არამედ მდინარე წყალტუბოს. „...არ უნდა დავასკვნათ თითქოს XIII საუკუნეში სახელი „წყალტუბო“ არ არსებობდეს, თითქოს ის ამის შემდეგ ხანებში, სადაც XIII—XVI საუკუნეთა შორის გაჩენილიყოს. არა, თვით სახელწოდება „წყალტუბო“ (წყალთბილა) გვარწმუნებს, რომ ის VIII—IX საუკუნეებზე უფრო ადრე წარმოშობისაა, როცა ამ ადგილობში მოგროვილი ენა ჯერ კიდევ ბაჭონობდა. ჩვენი დაკვირვებიდან მხოლოდ ისა ჩანს, რომ წყალტუბო უფრო ზუსტად შეიძლება აწინდელი წყალტუბოს ნაწილი, ე. ი. მდინარე წყალტუბოს მარცხენა სანაპირო, XIII საუკუნეში ჯერ კიდევ მალლაკის საზღვრებში ითვლებოდა და რომ XVI საუკუნისათვის ეს მდგომარეობა შეცვლილია, რომ მალლაკის საზღვრები შემცირებულა და წყალტუბო უკვე მის გარეთ იგულისხმება.“

XII—XIII საუკუნეებში რომ ამ სახელწოდებით არსებობდა იყო ადგილი, ისეთი განსწავლული კაცი, როგორც გელათის ტაძრის წინამძღვარი იაკობი იყო, ზედმიწევნით ზუსტადაც მიუთითებდა, როგორც მოიხსენია სახულის ღვთისმშობლისადმი შეწირული ყმანი და ადგილნი. საგულისხმოა ისიც, რომ იაკობს მთელი მალლაკი კი არ შეუწირავს, არამედ ცალკეული კომლი და ადგილი, კერძოდ, მალლაკს მდებარე „სააბანოო სახლი“.

¹ ივ. ჯავახიშვილი, ბალნეოლოგიური და ინჰოლაციური მკურნალობა საქართველოში. საქართველოს კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის ინსტიტუტის გამოცემა, თბილისი, 1935, გვ. 6—7.

² ნ. ბერძენიშვილი, წყალტუბოს ისტორიისათვის, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. IV, № 7, 1943, გვ. 716.

წყალტუბო არც იმერეთის მეფის ალექსანდრეს წყალბის წიგნშია ნახსენები (ამ საბუთის მიხედვით, რომელიც XVII საუკუნეს ეკუთვნის, ეზია იოსელიანისათვის ნაბოძებ ადგილებად იგულისხმება ახლანდელი წყალტუბო).

წერილობით საბუთებში აბანოების სახელწოდებით წყალტუბო პირველად ახალციხელი ხოჯა ჰოვანას ხელნაწერ დღიურებში გვხვდება. ხოჯა ჰოვანა კათოლიკე მღვდელი იყო, რომელიც ქუთაისში მოღვაწეობდა XVIII საუკუნის 70—80-იან წლებში. ამავე დღიურიდან ჩანს, რომ აკად. გიულდენშტედტი 1772 წელს ყოფილა წყალტუბოში და თავისი მოსაზრებაც გამოუთქვამს: „ვიარეთ მდინარე წყალტუბოს სათავემდე, რომელიც გამოდის კირქვიანი კლდის ჰორიზონტალური ნაპრალიდან... იქედან დაახლოებით 1 ვერსზე დასაგლეითით 4 საუენი განიკვეთის თიხიან ორმოში ამოდის თბილი ბუშტებიანი წყალი, რომელიც მღვრიე, უსუნო და უგემო არის და ამდენად არ ეკუთვნის სამკურნალო წყლებს. ის ჩაედინება წყალტუბოში, რომლის გასწვრივაც ჩვენ ვიარეთ და 1/4 საათში სოფელ წყალტუბოში მივედით“¹. ალბათ ნაწვიმარზე ნახა დიდმა მოგზაურმა წყალტუბოს წყაროები და ამიტომ ეჩვენა ისინი შემღვრეული.

ამჟამად საკმარისი საბუთები გაგვაჩნია იმის დასადასტურებლად, რომ საქართველოში წყლის აბაზანებს უძველესი დროიდან იყენებდნენ სამკურნალო მიზნით, კერძოდ, ბორჯომში საკაბტაჟო სამუშაოების შესრულებისას 1912—1913 წლებში პროფესორ პ. ზ. ვინოგრადოვ-ნიკიტინის მიერ ნაპოვნი. იქნა შვიდი უძველესი აბაზანა (მ. გ. სააკაშვილი, ა. პ. გილაშვილი).

მცხეთაში ჩატარებული გათხრებისას აღმოჩენილი აბანოები I—II საუკუნეებით თარიღდება. არმაზის ხეივანში, იბერიის პიტიახშთა რეზიდენციაში აღმოჩენილი აბანოს ნაგებობა შესანიშნავია და მისი ტექნიკური აღჭურვილობის დონეც იმ დროისათვის საკმაოდ მაღალი ყოფილა, მას ჰქონია გასათბობი, გასახდელი, და სააბაზანო განყოფილებები. ამ

¹ გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტომი პირველი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოცემა, თბილისი, 1962. გვ. 147.

აბანოს სახით ტიპურ თერმებთანა გვაქვს საქმე, დანიშნულებისადმი ზუსტი შესატყვისობით“¹.

XIII საუკუნიდან მეტად არახელსაყრელი პირობები შეიქმნა საქართველოსათვის. ამ დროისათვის წყალტუბოს თავისი სამკურნალო მშენებლობა იმდენად ჰქონდა დაარღული, რომ ამის მიხედვით სახელწოდება ვერ წარმოიქმნებოდა.

ეს ტერიტორია გუბეებით, ტბორებით, „ტუმპოებით“ დაფარულ წყლიან ადგილად ქცეულა. ამიტომ ფიქრობს ზოგიერთი მკვლევარი, რომ წყალტუბო „წყალთუბანისაგან“ უნდა იყოს წარმოებული. „წყალთუბანი“ წყალუხვ ადგილს ნიშნავს. ეს განმარტება აკად. ივანე ჯავახიშვილს ეკუთვნის.

ღია წყალსაცავები, „ტუმპოები“, ე. წ. „ველური აბაზანები“ უკანასკნელ ხანებამდე იყო შემორჩენილი წყალტუბოში.

ფილიპე მახარაძემ 1923 წელს იმოგზაურა წყალტუბოში და წერილიც გამოაქვეყნა ამის შესახებ. მასში 40-ჯერ მაინც აქვს ნახსენები კურორტის სახელად „წყალტუბო“. ამავე სახელწოდებით (ზოგჯერ „წყალტუბო“) ხშირად გვხვდება სხვა ავტორებთანაც (ლასი, ბ. ვაშაძე, ისო, ნ. ანდრიაძე, და სხვ.).

„წყალტუბოს“ ეტიმონად, ჩვენი აზრით „წყალტუმპო“ უნდა მივიჩნიოთ. ფუძისეული „მპ“-ს „ბ“-თი შეცვლა იმ ფონეტიკურ პრინციპს უნდა მიეწეროს, რომლის ძალითაც „მპ“ თანხმოვანთა ნაცვლად ყრუ და მკვეთრი თანხმოვანი „პ“ მოისმინება, ტონმოჭარბებული, მჟღერადი, ნაზალური „მ“ კი იჩქმალდება. „პ“ ბგერის „ბ“-თი შენაცვლება სუბსტიტუციის ფარგლებში თავსდება“.

ამგვარად, წყალტუბოს მინერალური წყაროები და აბანოები XII—XIII საუკუნეებზე ადრე არსებობდა.

ამ დროისათვის იგი მალლაკის საზღვრებში იყო მოქცეული და ასედაც იწოდებოდა. XIII საუკუნის შემდეგ წყალ-

1 ირ. ციციშვილი, ქართული არქიტექტურის ისტორია, თბილისი, 1955, გვ. 29—30.

ტუბოს ტერიტორიაზე მხოლოდ ნამუსრევი დარჩენილა გუბე-
ების, ტბორების და „ტუმპოების“ სახით. სწორედ ამ ხანებში
უნდა წარმოშობილიყო მდინარის სახელი „წყალტუმპო“, შემ-
დეგ მდინარისაგან მინერალური წყაროების გამოცალკეებისა
და სამკურნალოდ გამოყენების განახლებისას წყაროებ-
მაც იგივე სახელწოდება მიიღო, ხოლო როდესაც მოსახლე-
ობამ დაიწყო დასახლება, ადგილმდებარეობასაც იგივე სა-
ხელი ეწოდა.

წყალტუბო XIX-XX საუკუნეებში

„ჩვენთვის წყალტუბო მოულოდნელად გამოჩნეულა... იგი საქართველოს ერთ-ერთი მარგალიტთაგანია და ღირს იმად, რომ გაიწმინდოს მინაწრეებისაგან... შეუდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებ ამ კურორტს თერაპიული თვალსაზრისით“.

პროფ. დ. დ. პლეტნიოვი, 1932.

XVIII საუკუნის 70-იანი წლებიდან XIX საუკუნის 30-იან წლებამდე ლიტერატურული წყაროები დუმილით უვლიან გვერდს წყალტუბოს.

1820 წელს შერერი იძლევა ცნობას ქუთაისის ახლო, რიონთან, ცხელი გოგირდოვანი წყლების არსებობის შესახებ.

30-იანი წლების დასაწყისში გ. კრეიჟანოვსკი გვამცნობს, რომ ქუთათიდან (ქუთაისიდან) 30 ვერსზე მდებარეობს აუზი გოგირდოვანი წყლით, სადაც ავადმყოფები შორიდანაც კი ჩამოდიან სამკურნალოდ. წვიმების დროს აუზები იტბორება და საბანაოდ სავსებით გამოუყენებელი ხდება.

1855 წელს კი გრუმი აღწერს წყალტუბოა ტუტოვან წყაროს ქუთაისის მაზრაში, რომელიც, ერთი შეხედვით, წვიმისაგან წარმოშობილ ტბას ჰგავს. აქვე მითითებულია წყლის ზოგიერთ ფიზიკურ თვისებაზე (გემო — ოდნავ მარილიანი, ტუტოვანი, სუნი — ჭაობის, უფერო, ტემპერატურა 27° რეომიურით). მცხოვრებთ ძლიერ სწამდათ თურმე წყაროების სამკურნალო თვისებები. აქვე მოყვანილია აფთიაქარ ი. ვილემსის მიერ 1749 წელს გაკეთებული ქიმიური ანალიზის შედეგები.



ზერელე ცნობებს იძლევა ქუთაისის ჰოსპიტლის მკურნალი, მედიცინის დოქტორი ნ. ტოროპოვი (1864) ქუთაისიდან 15 ვერსის დაშორებით, მდინარეებს რიონსა და ცხენისწყალს შორის, სოფელ წყალტუბოსთან არის ორი თბილი, ტუტოვანი, მინერალური წყარო.

გაზეთ „კავკაზში“ მოთავსებული ი. პანტიუხოვის კორესპონდენციიდან ვიგებთ, რომ ამ დროს (1865) წყალტუბოში უკვე ტბის სახით ხუთი მინერალური წყარო და რამდენიმე ფაცხა (ალბათ, ღამის გასათევად) ყოფილა.

1874 წელს სამკურნალო თვისებების წყალტუბოს გეოგრაფიული წყაროები მოხსენებულა კავკასიის არქეოლოგიური კომისიის აქტებში.

პირველ გეოლოგიურ ცნობებს წყალტუბოს მინერალური წყაროების შესახებ იძლევიან ს. ე. სიმონოვიჩი, ა. ნ. ბაცევიჩი და ნ. ი. სოროკინი (1875).

წყალტუბოს ტუტიან-მარილიანი წყლის მოკლე დახასიათება ეკუთვნის მ. ვ. სკოროვს (1876).

„კავკაზსკი კალენდრის“ შემდეგ ორ გამოცემაში (1882-1884) ლ. ბერტენსონის მიერ მოტანილი ცნობები წყალტუბოს შესახებ ყურმოკრულს ჰგავს.

1894 წელს ჯერ ინჟინერი კონშინი აღწერს წყალტუბოს წყაროების გეოგრაფიას, ჰიდროგეოლოგიას, კაპტაჟის უხეირობას, ხოლო შემდეგ მილერი გვაცნობს ამ წყლის თვისებებს (დებიტი, ტემპერატურა და სხვ.).

ქუთაისის გუბერნიის ექიმმა მედიცინის დოქტორმა სერგეენკომ 1898 წელს გუბერნატორისათვის წარდგენილ მოხსენებაში გაამახვილა ყურადღება ამ წყაროების სამკურნალო ღირსებებზე და დააყენა წყალტუბოს აბანოების კეთილმოწყობის საკითხი.

მაგრამ სერგეენკოს წამოწყებული საქმე ჩაშალა ექსპერტ გ. ვ. სტრუვეს დასკვნამ, რომ წყალტუბოს წყაროები ჭიმშიურად ინდიფერენტულია და სამკურნალო მნიშვნელობა არა აქვსო.

1892 წელს „ნოვოე ობოზრენიეს“ კორესპონდენტი გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ „თუ წყალტუბოს აბანოები ასეთ უმსგავსო მდგომარეობაში დარჩებიან, მათ მეტად

ცუდი სამსახურის გაწევა შეუძლიათ გადამღებ დაავადებებში
გავრცელების თვალსაზრისით. საერთო რეზერვუარებში სი-
ბინძურე სუფევს, წყალი მთელი დღეებით არ იცვლება, ერთ-
დროულად ჭლექით, სიფილისით, რევმატიზმით შეპყრობი-
ლი ასეული ადამიანი ბანაობს ყოველგვარი მეთვალყურეობის
გარეშე“.

1893 წელს „ივერიის“ ქუთაისელი კორესპონდენტი
იტყობინება სააბაზანოთა და საცხოვრებელი ბინების
ანტისანიტარიულ პირობებზე.

მდგომარეობას ამძიმებდა აბანოების მრავალრიცხოვან
მესაკუთრეთა შორის ჯიბრი და კინკლაობა, რომელთა რი-
ცხვი, დ. ჯავახიშვილის ცნობით, 1896 წელს 36-ს აღწევდა.
1913 წლისათვის 80 მესაკუთრე აცხადებდა პრეტენზიას ამ
წყლებზე (რ. კუპცისი), 1917 წელს წყალტუბოს აბანოებს
უკვე 100-მდე მფლობელი ჰყოლია (დ. ნაზარიშვილი).
სწორედ ამიტომ წერდა ნაღვლიანი ტონით გაზეთი „კვალი“:
„აბანო ორია, მონაწილე კი ორმოციო“. ამ კორესპონდენ-
ციაში, გარდა იმისა, რომ მითითებულია 40 მონაწილეზე, სა-
ინტერესოა ისიც, რომ მე-19 საუკუნის მიწურულში წყალ-
ტუბოში მხოლოდ ორი სააბაზანო ყოფილა.

ერთი წლის შემდეგ „კვალის“ მეორე კორესპონდენტი
წერდა: „წყალტუბოს აბანო დიდ ხალხს ვერ მოიწვევს.
ტანსაბანი აუზები, სადაც წყალი ამოჰქუხს, არ იწმინდება და
არ ირეცხება. ამასთანავე ყოველი მომსვლელი მშვიერი რჩე-
ბა, რადგან აქ არა იშოვება-რა“.

შეიღებულ მოაბანოეთათვის მდგომარეობა რამდენადმე
გამოსწორებულია იმით, რომ „აზნაურმა კირილე იოსელიან-
მა გახსნა „რესტორაცია“, რომელშიც ბევრნაირი საჭმელი
კეთდება მოთხოვნილებისამებრ“.

წყალტუბოსა და მისი აბანოების მდგომარეობაზე სრულ-
ყოფილ წარმოდგენას იძლევა „ივერიაში“ 1901 წელს მო-
თავსებული ბესარიონ ვაშაძის კორესპონდენცია. ეს წერილი
არსებითად განსხვავდება ამ პერიოდში გამოქვეყნებული
კორესპონდენციებისაგან. იგი ეხება თითქმის ყველა საჭირ-
ბოროტო საკითხს. ამიტომ მთლიანად მოვიყვანთ მას.

„ქალაქს ქუთაისს დასავლეთისაკენ უძევს სოფ. წყალ-



ტუმბო, რომელიც ქუთაისიდან თორმეტი ვერსით დაშორებული. სოფელს აქვს თბილი წყლები, რომელსაც „წყალტუმბოს აბანოს“ ეძახიან. ყოველწლოვით ამ აბანოში ასობითა და ათასობით მოჰყავთ სამკურნალოდ სხვადასხვა სენით შეპყრობილი ავადმყოფნი და განსაკუთრებით კი — ქარებიანნი. „წყალტუმბოს აბანოებში“ სეზონი აპრილის თვიდან იწყება და თავდება 1 ოქტომბერს, მაგრამ, რადგანაც „წყალტუმბოში“ ზაფხულობით უზომო სიცხეები იცის, ამიტომ იქ წასვლას ისევ აპრილიდან შუა ივნისამდის ამჯობინებენ და შემდეგ 20 აგვისტოდან ოქტომბრამდის. წყალტუმბოს აბანოები ადგილობრივ მცხოვრებლებს აზნაუროებს იოსელიანებს ეკუთვსით, რომლებიც თავის აბანოებს სხვა კერძო კაცებს იჯარით აძლევენ. საბანაგო აუზები ორს შენობაში არის მოთავსებული, რომლებიც 60 საუენზედ არიან ერთმანეთს დაშორებულნი, ერთს ეძახიან გაღმა აბანოს, ხოლო მეორეს — გამოღმას. გაღმა აბანოს აქვს ხუთი თვალი აუზი, გამოღმას კი მარტო ორი აუზი. არც ერთ შენობას არა აქვს შესაფერისათ მოწყობილი საბანაგო აუზები. გარეშემო ორსავე აბანოს ოთხმოცზე მეტი ოთახი აქვს მომსვლელი ავადმყოფებისათვის; ოთახები პატარებია, უბრალოდ მოწყობილი, მაგრამ თითო ოთახში დღე და ღამე მანეთს ახდევინებენ. ბანაობა კი ერთს დღე და ღამეს აბაზი ღირს. აბანოს აუზები დღეში ოთხჯერ იწმინდება და შეუძლიან მსურველს დღეში ოთხჯერ იბანაგოს; შეუძლიან აგრეთვე ავადმყოფს აუზში საბანაოთ ორ-სამ საათს დარჩეს, მაგრამ უმჯობესია ნახევარი საათიდან ერთ საათს დარჩეს. წყალი ბუნებით თბილია, რომელსაც სითბო 28 1/2—29 გრადუსამდის აქვს. აბანოს მეტად აქებენ ქარებისათვის (Ревматизм), მაგრამ რამდენად დიდი თვისება აქვს „წყალტუმბოს“, სარწმუნოდ არავინ იცის. წყალტუმბოს აბანოებს კარგი გაშლილი და ვაკე ეზოები აქვს, განსაკუთრებით — კი გაღმა აბანოს. ექვი არ არის, აბანოები რომ ერთ კაცს ეკუთვნოდეს, უფრო კარგს ნიადააზიდ იძინებოდა დაყენებული და მოწყობილი, ახლა კი მონაწილეები ერთმანეთს შესცქერიან და მითი საქმე ხდება.



ერთი დიდი უხერხულობა და ნაკლი ამ აბანოებისა არის, რომ აბანოები დაბალს ადგილშია და გარშემო ჭაობიანი ადგილები და ღელეები არტყია; ამის გარდა, არა აქვს ცივი წყლები დასალევად და ხშირად ციებ-ცხელება ჩნდება. ასრე რომ თუ ავადმყოფი დიდხანს დარჩა აქა და თავს ძლიერ არ გაუფრთხილდა, მორჩენის მაგივრად ციებ-ცხელებას წაიღებს თანა.

ამ აბანოებს გარდა ორი თბილი წყარო კიდევ სხვა ამოდის აქა: ერთია გაღმა აბანოსაკენ, მეორე გამოღმა აბანოსთან. გაღმა აბანოს წყაროს თავის ტკივილის წამლად ასახელებენ, გამოღმა აბანოსას კუჭის ტკივილისათვის ხმარობენ, რომელსაც ფიცარი აქვს გამოკიდებული შემდეგი რუსულქართულის წარწერით: „მკურსალიის შეძოჯიებით ირი ჩაის სტაქანი ამა აბანოს წყლისა უზმოზედ დილით მიღებისას კუჭის ტკივილს უსპობსო“. ამ წარწერამ ძალიან გამაკვირვა: თუ ეს მართალია, რომელმა მკურნალებმა შეამოწმეს და როდის, რატომ არ არის მოხსენებული, და ასეც რომ იყოს, ნახევარი კაცობრიობა კუჭის მოშლილობით არის ავად, ამასთანავე ბოთლი წყალი შაურად იყიდება, რომელშიც ოთხი ჩაის სტაქანი გამოდის და ნუთუ არ შეუძლიან ორი ჩაის სტაქანი ამ წყლისა იშოვონ და მოშლილი კუჭი სამუდამოდ გამოიკეთონ?!

აუზებია საზოგადო, სადაც 40—60 კაცი ერთად ჩადის საბანაოთ; კერძო ნომერი კი ერთისათვის სრულიად არ არის. ამასთანავე აუზებში ყველა ავადმყოფებს შეუძლიანთ ჩასვლა, რა სნეულებითაც არ უნდა იყვნენ ავად და ეს კი, ეჭვი არ არის, დიდი ნაკლია აბანოსათვის. აქვთ აგრეთვე აფთიაქი და ფერშალიცა ჰყავთ, მაგრამ მკურნალის ხსენება კი არ არის. კარგი იქნებოდა წყალტუმბოს აბანოებს ზაფხულობით სახელმწიფო მკურნალს მისცემდნენ, რომელსაც ავადმყოფების გასინჯვა და თვალ-ყურის დევნება უნდა ჰქონდეს დავალებული, რომ საერთო აუზებში ერთის ავადმყოფის სნეულება მეორეზედ არ გადავიდეს; შემოწმების შემდეგ შესაძლებელი იქნება ერთნაირი ავადმყოფები



ცალკე აუზში ჩაუშვან საბანაოთ. სხვანი — სხვაში. ეხლა კი გარჩევა არავის არა აქვს. ზოგიერთი კარგად მყოფი სტუმრად მიდის, ან ავადმყოფს ახლავს და ესენიც ბანაობენ. ამრიგად, უნებლიედ ესენიც შიშში არიან, რომ რაიმე სენს გალაიკიდებენ.

წყალტუბოში წეს-რიგის დამცველათ ბოქაულის თანაშემწეა, მაგრამ ქურდობა და ჯიბგირობა მაინც ხშირია. კარგი იქნებოდა მომსვლელს ხალხს პასპორტს მოსთხოვდნენ და მათ საქციელსაც განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცივდნენ.

წყალტუბოს აბანოებთან ორი დუქანია, მაგრამ არც ერთს მათგანში სასმელ-საჭმელი არა აქვთ და თუ იშოვის კაცი, ორ დღეში ერთხელ და ისიც მამასისხლადა და უგემურად გაკეთებულს. არც ეს არის, რასაკვირველია, მოხერხებული და ხელშემწყობი მოსულ ავადმყოფთათვის. ვინც იცის იქაური გარემოება, სანოვაგე თან მოაქვს სახლიდგან, მეორეც სოფლებიდგან შემოაქვთ გასაყიდათ ხორავი. მაგრამ ეს ყველასათვის არ კმარა, რადგანაც აბანოებს დიდძალი ხალხი აწყდება. არ მოიპოვება აგრეთვე არც ერთი ჟურნალ-გაზეთი, რაიცა მოსულ ხალხს უზომო მოწყენილობას აგრძნობინებს. კარგი იქნება აბანოების პატრონებმა ყოველსავე ამას ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ და გაუმჯობესებას ეცადნენ“.

1902 წელს წყალტუბოში ჩამოვიდა ქიმიკოსი ვასილ პეტრიაშვილი. მას გაუზომავს მინერალური წყლის ტემპერატურა ორნაირი თერმომეტრით. შეუმოწმებია წყლის სხვა ფიზიკური თვისებები და თითოეული წყაროდან ბოთლებში აუღია 3-4 სინჯი (სულ 30 ბოთლი) ოდესაში წასაღებად. ამ ანალიზების შედეგები სადღეისოდ ყველასათვისაც ცნობილი და დღემდე წუნი ვერავის დაუდვია მისთვის.

გ. ვ. სტრუვეს (1898) შემდეგ ეს იყო წყალტუბოს წყაროების პირველი სულფასოვანი ქიმიური ანალიზი, რომელიც ნოვოროსიის (ოდესის) საიმპერიო უნივერსიტეტის რექტორმა პროფ. ვ. მ. პეტრიაშვილმა გააკეთა ოდესაში 1902 წელს.

ვ. პეტრიაშვილმა სრულად შეისწავლა წყალტუბოს



ექვს- წყარო და დაასაბუთა სხვადასხვა წყაროს ერთგვარი ქიმიური თვისობრიობა. ვ. პეტრიაშვილის ეს დებულება დღესაც ძალაში რჩება, რადგან ამ წყლების ქიმიური ბუნება განვლილი ხნის განმავლობაში მნიშვნელოვნად არ შეცვლილა.

აზრი (დ. ნაზარიშვილი, გ. წითლანაძე) თითქოს წყალტუბოს წყაროების რადიაქტიური ბუნებაც ვ. პეტრიაშვილს დაედგინოს, არ არის სწორი. წყალტუბოდან ოდესაში ანალიზისათვის წაღებულ წყალს იგი არც შეიძლებოდა რომ შერჩენოდა.

წყალტუბოს წყლების რადიაქტივობა (რადიუმის ემანაცია, რადონი) პირველად რ. დ. კუპცისმა აღმოაჩინა 1913 წლის აპრილ-მაისში. მანვე დაადასტურა თავისი, სტრუვესა და ვ. პეტრიაშვილის გაკეთებული ქიმიურ ანალიზთა პასუხების ივიცეობა.

საინტერესოა, რომ კუპცისის მიერ წყალტუბოს წყაროებში რადონის აღმოჩენამდე 1911 წელს „ვრაჩებნაია გაზეტაში“ მოთავსებული იყო კორესპონდენცია ხონიდან, რომლის ავტორიც მიმოიხილავდა რა წყალტუბოსა და მის წყაროებს, სხვა წყლებთან ანალოგიის საფუძველზე, წყალტუბოს ინდიფერენტული წყაროების ეფექტიანობას ხსნიდა მათში რადიუმის ემანაციის არსებობით და მოითხოვდა გამოკვლევების ჩატარებას ამ მიმართულებით.

1911 წელს შ. ა. მიქელაძე იმავე „ვრაჩებნაია გაზეტაში“ აქვეყნებს ავადმყოფთა წყალტუბოში მკურნალობის დაკვირვების შედეგებს.

1913 წელს პირველად კურორტის ისტორიაში წყალტუბოში მოვლინებული იყო ერთი ექიმი და ერთი ფერშალი. რაჭის მაზრის ექიმს ე. ქ. აბულაძეს 1913 წლის საკურორტო სეზონზე უშუალოდ წყალტუბოს წყაროებთან ჩაუტარებია პირველი დაკვირვებანი.

XX საუკუნის პირველ ოცწლეულში მოწინავე ქართველი ინტელიგენციის ერთმა ნაწილმა ხმა აიმაღლა წყალტუბოს მოსაწყობად, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ქუთაისელი ექიმის მედიკინის დოქტორის დიმიტრი ნაზარიშვილის (ნაზაროვი) ღვაწლი და დამსახურება. სარგებლობდა რა ნიკო-

ლოზ II ლეიბ-მედიკის ცნობილი ქირურგისა და რის პროფ. ს. პ. ფეოდოროვის კეთილგანწყობით, რიშივილმა გარკვეული მატერიალური დახმარება მიიღო წყალტუბოს კეთილმოწყობისათვის.

ამ პერიოდში, გარდა კ. მაჭავარიანის ბროშურისა (1915), ცალკე წიგნად დაბეჭდილა მედიცინის დოქტორ დიმიტრი ნაზარიშვილის მოხსენება პეტერბურგში სამკურნალო ადგილთა გასაუმჯობესებლად მოწვეულ სრულიად რუსეთის ეჭიმთა ყრილობაზე (1917). საინტერესოა, რომ დ. ნაზარიშვილი საოცარი სიზუსტით მიუთითებს წყალტუბოს მინერალური წყლის დებიტზე (ორი მილიონი ვედრო დღე-ღამეში), რაც შემდეგ მეცნიერულად იქნა დადასტურებული გ. ჯავახიშვილის მიერ.

დ. ნაზარიშვილი თავის ბროშურაში დიდ ადგილს უთმობს რ. კუპცისის მიერ 1913 წელს ჩატარებული წყალტუბოს წყაროების ქიმიური ანალიზის ოქმებს.

რევოლუციამდე, კერძოდ, 1915 წელს გიორგი და ონისიმე იოსელიანებს აუგიათ შედარებით კეთილმოწყობილი საბანი „ბელგია“, რომელიც სასტუმროს მოვალეობას ასრულებდა.

1920 წელს მოხდა კურორტ წყალტუბოს ნაციონალიზაცია, მაგრამ ამ დონისძიებას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია.

1923 წლის 3 თებერვლის დეკრეტით წყალტუბო სხვა კურორტებთან ერთად გადაეცა საქართველოს საკურორტო სამმართველოს, მანამდე კი იგი ქუთაისის ჯანგანს ექვემდებარებოდა.

1927—28 წლებში სამთო ინჟინერმა ა. ი. სილინ-ბეკჩურინმა პროფ. ა. ნ. ოგილვის ხელმძღვანელობით ჩატარა პირველი სისტემური ჰიდროგეოლოგიური გამოკვლევები. ეს სამუშაოები განახლდა 1932—1933 წლებში (ნ. ოგილვი, მ. ფადავა).

1935-1938 წლებში მინერალური წყლების რაიონის ჰიდროგეოლოგიას დეტალურად იკვლევინ გ. ჯავახიშვილი და ს. ჩიხელიძე; ხოლო 1947—1949 წლებში—ს. ჩიხელიძე, ტ. ჩიჩუა, მ. ფადავა, ი. კუპულაძე, ნ. გოგიაშვილი. რაც შეეხება



წყალტუბოს რაიონის გეოლოგიურ წყობას, იგი კარგად შესწავლილი აკად. ა. ჯანელიძისა და მისი მოწაფეების მიერ.

1927 წელს ე. ე. კარსტენსი განმეორებით სწავლობს წყალტუბოს წყაროების მინერალურ შემადგენლობას, 1932 წელს კი — შ. შარაშენიძე, აგრეთვე ბ. ნიკოლსკი, ი. შმელიოვი და ტ. სპანოვსკაია. 1946 წლიდან ამ წყლების ქიმიურ შემადგენლობას იკვლევს პროფ. დ. ერისთავი. წყალტუბოს წყლების გაზოვანი შემადგენლობა 1932 წელს შეისწავლა ვ. კ. ბერლინგმა (ფ. გ. ხლოპინის ხელმძღვანელობით), 1939 წელს — ვ. გ. ულუხანოვმა.


ამ დროისათვის წყალტუბოს საკმაო პოპულარობა ჰქონია მოპოვებული, რაზეც მეტყველებს ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორის ბიკელის (1928) მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომ წყალტუბო პირველხარისხოვან კურორტად უნდა ჩაითვალოს ცვაღ-სახსართა სისტემის დაავადებულთათვის.

1927 წელს შეიქმნა წყალტუბოს საკურორტო სამმართველო, რომელიც სანატორიულ-კურორტულ დაწესებულებათა პროფკავშირისათვის გადაცემის (1960 წ.) შემდეგ 1962 წლის 1 ივლისიდან კურორტ წყალტუბოს მმართვეის საბჭოს სახელს ატარებს (1971 წლის 7 აპრილიდან კი წყალტუბოს ტერიტორიული საბჭოს სახელს).

1928 წლის თებერვალში (20—25) გაიმართა საქართველოს კურორტოლოგთა 1 ყრილობა.

1931 წელს გამოტანილ იქნა საკ. კბ (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება წყალტუბოსა და საქართველოს სხვა კურორტების კეთილმოწყობისა და მშენებლობის გასაუმჯობესებლად.

1932 წელს წყალტუბოში ჩატარდა კომპლექსური მიზნობრივი სამეცნიერო ხასიათის სამუშაოები, რომლებშიც მონაწილეობას ღებულობდნენ ცენტრალური (მოსკოვის), კავკასიის მინერალური წყლებისა (პიატიგორსკი) და საქართველოს კურორტოლოგიის ინსტიტუტები, აგრეთვე სანიტარიისა და ჰიგიენის, ბაქტერიოლოგიური და ტროპიკულ სნეულებათა ინსტიტუტები. სამეცნიერო სამუშაოთა ხელმძღვანელობისა და კოორდინაციისათვის მოწვეული იყო





პროფ. ი. ა. ვალედინსკი. ამ პერიოდში ჩატარდა დიდი გამოკვლევები. საკვლევადიებო სამუშაოები ტარდებოდა ახლად აგებული №1 სანატორიუმის ბაზაზე, სადაც შექმნილი იყო კარდიოლოგიური და ართროლოგიური განყოფილებანი. მანამდე სეზონური კურორტი 1932 წლიდან მთელი წლის განმავლობაში იღებს ავადმყოფებს.

1932 წელსვე შედგა კურორტის დაგეგმარების პირველი სქემა. მომდევნო პერიოდში აკად. ნ. პ. სევეროვის ხელმძღვანელობით დამუშავდა დაგეგმარების დეტალური სქემა, რომელიც ცნობილი ინჟინრის პ. მამრადის შედგენილ ჰიდროტექნიკურ ფუძეს ემყარებოდა. ნ. სევეროვის სქემები დიდხანს აძლევდა ორიენტაციას წყალტუბოს განვითარებას. მოგვიანებით წყალტუბოს განვითარების გენერალური გეგმა დაზუსტდა ტ. ბეიერისა და ს. სატუნცის მონაწილეობით.

გენერალური გეგმით გათვალისწინებული იყო წყალტუბოში ერთდროულად 10 ათასი ავადმყოფის მკურნალობა (15-დღიანი საკურსო მკურნალობით) 20 ათასი სააბაზანო პროცედურით დღეში, 240 ათასი ავადმყოფის წლიური გამტარიანობით. წყალტუბოს მცხოვრებთა სავარაუდო ციფრად, ავადმყოფების ჩათვლით, 28.500 იყო მიღებული.

1936 წელს განმეორებით შედგა კურორტის დაგეგმარების ახალი სქემა, რომელიც მოიწონა საქართველოს სახკომსაბჭომ.

1939 წელს წყალტუბოს რაიონად გამოყოფამ წამოჭრა კურორტის დაგეგმარების გადამუშავების აუცილებლობა. აღნიშნული სამუშაოების შესრულება ისევ აკად. ნ. სევეროვს დაევალა. შემდგომში მთავრობამ კურორტის განვითარების გენერალური სქემის ნ. სევეროვის მიერ წარმოდგენილი პროექტი მიიღო.

ნიუხედავად იმისა, რომ გენერალური დაგეგმარების არსებული სქემები საკმაოდ დეტალურად იყო დამუშავებული, იგი მაინც არ იყო სრულყოფილი. ამიტომ საქართველოს კბ ცენტრალურმა კომიტეტმა და მინისტრთა საბჭომ დაავალა საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს 1950 წელს დაეწყო კურორტ წყალტუბოს ხელახალი ტოპოგრაფიული აგ-

ეგმვა და დაგეგმარების გენერალური პროექტის შედგენა. ამავე დროს მთავრობამ დაავალა ჯანდაცვის სამინისტროს შეესწავლა გორდისა და სათაფლიის მთის კლიმატური ფაქტორების გამოყენების შესაძლებლობა წყალტუბოში ბალნეოლოგიური მკურნალობის ფონზე.

1951 წელს საქართველოს კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის ინსტიტუტს მზად ჰქონდა წყალტუბოს გენერალური დაგეგმარების პროექტი. პროექტის მთავარი არქიტექტორი და ავტორია ი. ზაალიშვილი, პროექტის ავტორი ვ. კედია. პროექტის შედგენასა და ტექსტის დამუშავებაში მონაწილეობდნენ პროფ. დ. ჯავახიშვილი, პროფ. მ. ნოდია, დოც. გ. ჭირაქაძე, მ. ფალავა, ა. ლაზარიდი-ციციშვილი და სხვა დარგების ცნობილი სპეციალისტები. გენერალური გეგმა 1953 წლის დეკემბერში დაამტკიცა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ. ამ გეგმით წყალტუბო ინარჩუნებს რგოლურ სქემას.

გენერალური გეგმით წყალტუბო გაყოფილია 4 ზონად:

1. ბალნეოლოგიური ზონა — სააბაზანოებისათვის და ცენტრალური პარკისათვის;
2. სანატორიული ზონა — სანატორიუმებისა და საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობათათვის. ამ ზონას ბალნეოლოგიური ზონის მიმდებარე ამფითეატრი უჭირავს;
3. სელიტებური — სამოსახლო ზონა;
4. ტყე-პარკებისათვის გამოყოფილი ტერიტორია.

მიუხედავად იმისა, რომ ეს გეგმა 15 წლისათვის (1951—1965) იყო გამიზნული, წყალტუბოს ჯერ კიდევ არ მიულწევია საპროექტო სიმძლავრისათვის. ისევე როგორც სევეროვისეული გეგმა, ეს გეგმაც წყალტუბოში 10 ათასი ავადმყოფის მკურნალობას ითვალისწინებს ერთდროულად (20-დღიანი საკურსო მკურნალობით), მაშინ როცა ძირითად მცხოვრებთა რაოდენობა 20 ათასს უდრის. ესეც არ იყოს, წყალტუბოს გენერალური დაგეგმარება კლასიკურადაა დამუშავებული ყველა რგოლში და მისი მსგავსი საქართველოს არც ერთ კურორტს არ გააჩნია.

1933 წელს გამოიცა ლ. დ. ხასკინის სამეცნიერო-პოპულარული ბროშურა „კურორტი წყალტუბო“ (რუსულ ენაზე) ი. ა. ვალედინსკის წინასიტყვაობით. ბროშურაში განზოგადებული იყო მეცნიერული და პრაქტიკული გამოცდილებანი.

1933 წლის აპრილში (23—27) გაიმართა საქართველოს კურორტოლოგთა 11 სამეცნიერო-საორგანიზაციო ყრილობა. ყრილობაზე დიდი ადგილი დაეთმო წყალტუბოს შესწავლის საკითხებს.

1934 წელს იბეჭდება საქართველოს კურორტოლოგიის ინსტიტუტის შრომების I ტომი, „წყალტუბო“ და დ. ვ. ჯავახიშვილის ბროშურა „კურორტი წყალტუბო“ (ქართულად). იმავე წელს გ. ვ. წითლანაძე რევმატოლოგთა IV მსოფლიო კონგრესზე აკეთებს მოხსენებას რევმატიზმით დაავადებულთა წყალტუბოში მკურნალობის შესახებ.

1934 წელს წყალტუბოში შეიქმნა მუდმივი ჰიდროგეოლოგიური სამსახური (უფროსი გ. ჯავახიშვილი), 1940 წლიდან იგი გარდაიქმნა ჰიდროგეოლოგიურ სადგურად, 1949 წლიდან კი — საკონტროლო-დაკვირვებათა ჰიდროგეოლოგიურ სადგურად, 1966 წლიდან მას ისევ ჰიდროგეოლოგიური სადგური ეწოდა.

ჰიდროგეოლოგიური სადგურის მეშვეობით ხორციელდება მუდმივი დაკვირვებანი წყალტუბოს მინერალური წყლის რეჟიმსა და ფიზიკურ-ქიმიურ თვისებებზე. მას აქვს კარგად მოწყობილი ლაბორატორია. 1927 წლიდან 1940 წლამდე ამ სამუშაოებს ჰიდროგეოლოგიური პარტიები ახორციელებდა.

1933 — 1950 წლებში სამეცნიერო სამუშაოებს ატარებს საქართველოს კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის ინსტიტუტის საექსპედიციო ბრიგადები.

1935 წელს საქართველოს კურორტოლოგიის ინსტიტუტმა გამოსცა ა. ნ. ოგილვისა და ე. ს. შჩეპოტიევას შრომა „წყალტუბოს მინერალურ წყაროებში რადიუმის ემანაციის ხანმოკლე გამძლეობის პროდუქტებისა და კანზე მათი დალექვის პროცესების შესწავლის გამოცდილება აბაზანებსა და აუზებში ბანაობისას“ (რუსულ ენაზე).

1937 წელს ი. კონიაშვილის რედაქციით რუსულ ენაზე გამოდის გ. წითლანაძის ბროშურა „წყალტუბო“, პარალელურ-

რად კი იბეჭდება გ. ა. მიქელაძის „წყალტუბო“ (რუსულად).

1938 წელს საქართველოს კურორტოლოგიის ინსტიტუტი ბეჭდავს თავისი შრომების მე-12 ტომს, „წყალტუბო“, ტ. II.

1939 წელს ქართულ ენაზე (პარალელურად რუსულად) იბეჭდება გ. წითლანაძის ნაშრომი „წყალტუბო“, რომელიც დღევანდლამდე პოპულარობით სარგებლობს და მრავალჯერ გამოიცა რუსულ და ქართულ ენებზე შესწორებული და შევსებული სახით. ამავე წელს მისივე ავტორობით რუსულად გამოვიდა „კურორტი წყალტუბო“ (ცნობარი მგზავრისათვის), რომელიც მრავალ საინტერესო ცნობას შეიცავს ექიმთათვისაც.

1939 წელს ინჟინერ-გეოლოგმა გ. დ. ჯავახიშვილმა განსაზღვრა წყალტუბოს მინერალური წყლების დებიტი 20 — 25 მილიონი ლიტრით დღე-ღამეში.

სამამულო ომის პერიოდში წყალტუბოს სანატორიუმები ევაკოპოსპიტლებად გადაკეთდა და ღირსეულად ემსახურებოდა დაჭრილთა მკურნალობის საქმეს.

1945 წელს დაიბეჭდა პროფ. გ. ასათიანის ბროშურა „წყალტუბოს წყლებით ჭრილობათა განუწყვეტელი მორწყვით მკურნალობა“ (რუსულად).

1946 წლის მაისში აიგო 25-საწოლიანი რაისაავადმყოფო. ამ შენობაში ამჟამად ტუბდისპანსერია მოთავსებული.

1946 წელს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცკ-ისა და საქართველოს მინისტრთა საბჭოს დადგენილებით სანატორიუმები კვლავ მშვიდობიან საქმიანობას შეუდგნენ.

1947 წელს გამოიცა საქართველოს კურორტოლოგიის ინსტიტუტის შრომების XX ტომი;

1949 წელს რუსულ ენაზე გამოდის გ. წითლანაძის „წყალტუბოს მინერალური წყლების ბალნეოთერაპიული თვისებების შესახებ“.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს განკარგულებით, რომელსაც ხელს აწერდა ი. სტალინი, კლინიკური სანატორიუმის ბაზაზე დაარსდა საქართველოს კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის ინსტიტუტის ფილიალი 75 საბიუჯეტო საწოლით. 1950 წლიდან ფილიალმა დაიწყო კვლევითი მუშაობა. 1957 წლიდან აქ გაიხსნა ბავშვთა კლინიკა. იგი იმ დროისათ-

ვის ერთადერთი ბავშვთა განყოფილებაა, რომელიც დაავადებული ბავშვების ბალნეოკურნალობის საქმეს ემსახურება.

1952 წლის დეკემბერში გაიხსნა წყალტუბოს ბავშვთა რევმატოლოგიური სანატორიუმი 50 საწოლზე. ამავე წელს დაიბეჭდა თ. კარტოზიასა და ი. ჩიქოვანის „კურორტი წყალტუბო“ (ქართულად).

1953 წლის 26 ნოემბერს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაბა წყალტუბო გარდაიქმნა რაიონული დაქვემდებარების ქალაქად.

ამავე წელს დაარსდა საქართველოს კურორტოლოგთა და ფიზიოთერაპევტთა წყალტუბოს სამეცნიერო საზოგადოება.

1953 წელს გ. წითლანაძე რუსულ ენაზე აქვეყნებს „კურორტი წყალტუბოში კომპლექსური მკურნალობის მეთოდის“.

1954 წელს გამოდის პროფ. დ. ჯავახიშვილის ბროშურა „კურორტი წყალტუბოს განვითარების ისტორიისათვის“ (რუსულად).

1956 წელს გამოიცა საქართველოს კურორტოლოგიის ინსტიტუტის წყალტუბოს ფილიალის შრომათა კრებული, I — II. ამავე წელს ქათამაძე ბეჭდავს „წყალტუბოს მინერალური წყლების უფრო რაციონალურად გამოყენების საკითხისათვის“ (რუსულ ენაზე).

1957 წელს გამოიცა პროფ. გ. ასათიანის ნაშრომი „გინეკოლოგიურ ავადმყოფთა მკურნალობა წყალტუბოში“ (რუსულად), გ. ზედგინიძის „კურორტი წყალტუბო“ (რუსულად) ერთი წლის შემდეგ კი ეს წიგნი გამოდის ქართულადაც, და ა. კირთავას გამოკვლევა „მაობლიტირებელი ენდარტერიტით დაავადებულთა წყალტუბოს აბაზანებით მკურნალობის საკითხისათვის“ (ქართულად).

1960 წელს რ. ლოლობერიძე აქვეყნებს ვრცელ გამოკვლევას „კვერცხსავალისეული უნაყოფობის მკურნალობა წყალტუბოს რადიაქტიური წყლებით“, ამას მოჰყვება ლ. ფოფხაძის შრომა „რადიაქტიური კურორტები და მათი სამკურნალო მნიშვნელობა“, რ. ხილაჩავას „კურორტი წყალტუბოს სამკურნალო საშუალებანი“ (რუსულად) და ბოლოს ლენინ-

გრადში გამოიცა გ. მ. რავკინდისა და ვ. დ. ტიხონოვ-ბუგრაძის
სამეცნიერო-პოპულარული ბროშურა „კურორტ წყალტუბოს
სამკურნალო ფაქტორები“.

1962 წელს გამოვიდა საქართველოს კურორტოლოგიის
ინსტიტუტის წყალტუბოს ფილიალის შრომათა კრებულის
III ტომი.

1962 წელს პროფ. გიორგი წითლანაძე მონოგრაფიის სა-
ხით რუსულ ენაზე აქვეყნებს თავისი ხანგრძლივი გამოკვლე-
ვების შედეგებს.

ამავე წელს იბეჭდება ბ. ბეროძის მონოგრაფია „წყალტუ-
ბოს თერმული წყლები და რადონით მათი გამდიდრების პი-
რობები“ (რუსულად).

1963 წელს ექსპლოატაციაში შევიდა ტიპიური პროექტით
აგებული ცენტრალური საავადმყოფო 215 საწოლით. საავად-
მყოფოს აქვს განყოფილებები: თერაპიული, ნევროლოგიური,
ქირურგიული, უროლოგიური, ოფტალმოლოგიური, ოტორი-
ნოლარინგოლოგიური, ტრავმატოლოგიური, ინფექციური,
პათომორფოლოგიური, აგრეთვე კლინიკურ-დიაგნოსტიკური,
ბიოქიმიური ლაბორატორიები, ფიზიოთერაპიული, ფუნქციო-
ნალური დიაგნოსტიკისა და რენტგენოლოგიური კაბინეტები,
აფთიაქი, მისაღები და სხვ.

1963 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ გამოს-
ცა გ. ზედგინიძის მონოგრაფია — „კურორტი წყალტუბო და
მისი ნევროლოგიური პროფილირება“ (რუსულად); გამომ-
ცემლობა „საბჭოთა საქართველო“ ბეჭდავს რ. მესხრიკაძის
ვრცელ მონოგრაფიას „წყალტუბოს მინერალური წყლის
მოქმედება ორგანიზმზე ნორმისა და პათოლოგიის დროს“ და
რ. ჩილაჩავას ბროშურას „სამკურნალო ფიზკულტურა კუ-
რორტ წყალტუბოში“ (რუსულად).

1964 წლის 1 სექტემბერს (არქიტექტორ თევზაძის პროექ-
ტით) აგებულ საქართველოს მინისტრთა საბჭოს დასასვენებე-
ლი სახლის ყოფილ შენობაში გაიხსნა ბავშვთა სომატური საა-
ვადმყოფო 50 საწოლზე.

1966 წელს ქართულად გამოვიდა თ. კარტოზიას მონოგ-
რაფია „კლიმაქტერულ მოშლილობათა ეტიოპათოგენეზის,



კლინიკისა და მკურნალობის საკითხისათვის“ და ვლ. კიკნაძის
 ბროშურა რუსულად „სამკურნალო ვარჯიში წყალში, სამკურ-
 ნალო სიარული და ტერეხკური კურორტ წყალტუბოში“.

1966 წელს გაიმართა საქართველოს კურორტოლოგთა და
 ფიზიოთერაპევტთა 1 გაერთიანებული ყრილობა.

1967 წელს დაიბეჭდა საქართველოს კურორტოლოგიისა
 და ფიზიოთერაპიის ინსტიტუტის წყალტუბოს ფილიალის
 შრომათა კრებულის IV ტომი, ხოლო 1970 წელს V ტომი.

წყალტუბოს აღმშენებლობის, ზრდისა და კეთილმოწყო-
 ბის ისტორიაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უკანასკნე-
 ლი ოცწლეული (1950 — 1970).

ამ პერიოდში წყალტუბომ ბალნეოლოგიური კურორტის
 ნამდვილი პროფილი ძიიღო. თუ სიმძლავრით, სასახლეთა
 სიმრავლითა და მოცულობით იგი ერთგვარად ჩამორჩება ისეთ
 საკურორტო კერებს, როგორცაა სოჭა-მაცესტა და კისლო-
 ვოდსკი, მას უპირატესობაც აქვს.

სოჭამ და კისლოვოდსკმა თავიანთი განვითარების გზაზე
 ვერ შეძლეს შეენარჩუნებინათ საკურორტო სახე, მრეწველო-
 ბამ დაარღვია საკურორტო საზღვრები, და მახვილ თვალსაც
 კი უჭირს გარჩევა სად იწყება ქალაქი და სად მთავრდება კუ-
 რორტი.

სულ სხვაა წყალტუბო. იგი ზედმიწევნით სპეციფიკური,
 კოლორიტული კურორტია, სადაც ყველა ზონას თავისი ადგი-
 ლი აქვს ძიჩენილი.

ბალნეოლოგიური ზონა და წყალტუბოს სამკურნალო წყალი

„წყალტუბოს წყალი უიშვიათესი და უპრეცედენტოა არა მარტო მინერალურ წყაროებს შორის, არამედ თერმებს შორისაც საერთოდ. იგი ახალი, ნაკლებად შესასწავლი ტიპის წყალია და მსოფლიოში ცნობილ მინერალურ წყაროებში მისი ანალოგი არ მოიძებნება“

პროფ. ს. ა. შჩუკარევი, 1932.

მდინარე წყალტუბოს სათავე მცირე ზომის კარსტული წარმოშობის ტბებშია ჩამალული. ვიდრე მიმართულებას შეუცვლიდნენ მის კალაპოტს, იგი მოედინებოდა ბალნეოლოგიური ზონის ტერიტორიაზე, აჭაობებდა მას და სიძნელეებს ქმნიდა აბაზანების მუშაობაში. წვიმიან ამინდში გაუვალი ხდებოდა აბაზანებთან მისასვლელი გზები, ხშირად შეიჭრებოდა თვით აბაზანებშიც და გამოჰყავდა ისინი მწყობრიდან.

კარსტული ტბებისა და მათგან გამომდინარე მდინარე წყალტუბოს წარმოშობის შესახებ ასეთი აზრი არსებობს: სამგურალის ქედის მიდამოებში ატმოსფერული ნალექებისაგან წარმომდგარი ზედაპირული წყლები მიწისქვეშა ნაპრალების გზით აღწევენ სოფ. ყუმისთავის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე გამოქვაბულამდე, საიდანაც მიწისქვეშა ლაბირინთებით მოედინება კარსტული ტბებისაკენ. ყუმისთავის გამოქვაბულში ნაპოვნ მდინარესა და ცივ ტბებს შორის კავშირი დაამტკიცა ა. ი. სილინ-ბეკჩურინმა 1928 წელს ფლუორესცენციური მეთოდით. გამოქვაბულის მახლობლად შეღებილმა წყალმა 17 საათის შემდეგ ცივ ტბებამდე მიაღწია.

არსებული სამი ტბისაგან გამდინარე იყო და მდინარე

წყალტუბოს აძლევა სათავეს მესამე ტბა. პირველი და მეორე ტბები დახშულნი იყვნენ და გამდინარე ხდებოდნენ მხოლოდ დიდი წვიმების შემდეგ.

1933—1934 წლებში დაიწყო ცივი ტბების კეთილმოწყობა, აიგო 6 მეტრი სიმაღლის დამბი, რითაც სამივე კარსტული ტბა გაერთიანდა და წარმოიშვა 4-5 ჰა ფართობის ხელოვნური ტბა, ტბისაგან სამხრეთის მიმართულებით გამოყვანილ იქნა ბეტონის სალტეებში მოქცეული ორი არხი.

1934 წელს აიგო არხის მარჯვენა (დასავლეთი) ტოტი. მარცხენა (აღმოსავლეთი) ტოტი დამთავრდა და მთლიანად არხი შეიკრა 1935 წლის დეკემბერში. არხები შემორკალავს ბალნეოლოგიურ ზონას, პარალელურად მიყვება პირველ რგოლურ პროსპექტს, იმეორებს მის ფორმას და თავს იყრის რკინიგზის გადასასვლელთან, სადაც ახლა რუსთაველის პარკია გაშენებული. სამკაპიდან სადგურ თერნალის მიდამოებამდე, უკვე 60-იანი წლების მიჯნაზე გაიჭრა სპეციალური არხი მდინარე წყალტუბოს კალაპოტის გასასწორებლად ამ მონაკვეთზე.

დიდ უხერხულობას ქმნიდა ე. წ. „ველური აბაზანებიც“, რომელთაც აბაზანებიდან გამოსული ნასარგებლები მინერალური წყალი და მდინარე წყალტუბოს ყოფილ კალაპოტში ამომდინარე მინერალური წყაროები ჰქმნიდნენ. ამ უხერხულობის თავიდან ასაცილებლად 1955 წელს დაიწყო „ველური აბაზანების“ სალიკვიდაციო დიდი ჰიდროტექნიკური სამუშაოები გადამუშავებული მინერალური წყლისა და ნიაღვრისეული წყლების კოლექტორში მოსაქცევად.

1956 წლისათვის № 5 სააბაზანოდან № 6 სააბაზანომდე აზბესტ-ცემენტის მილებისაგან აიგო კოლექტორი, რომელშიც ჩაირთო № 4, 5 და 7 სააბაზანოებიდან გამოსული გადამუშავებული მინერალური წყალი.

პარალელურად რესტორან „წყალტუბოდან“ № 6 სააბაზანომდე ჩაწყობილ იქნა ბეტონის მილები, რითაც ნალვარევი წყლებიც ამ მონაკვეთზე ცალკე კოლექტორში იქნა მოქცეული. 1960 წლისათვის მდინარე წყალტუბოს ყოფილი კალაპოტი ამოვსებული იყო № 6 სააბაზანომდე. მომდევნო წლებში კვლავ გრძელდებოდა დაწყებული სამუშაოები, დანარჩენი აბაზანებიდანაც გამოსული ნასარგებლები მინერალური წყლის

კოლექტორში ჩასართავად და „ველური აბაზანების“ დასახუ-
რავად.

1962 წლისათვის ორივე კოლექტორმა (გადამუშავებელი მინერალური წყლისა და ნალვარევი წყლების) ჩრდილოეთი-დან სამხრეთისაკენ მთელ სიგრძეზე გადაკვეთა ბალნეოლო-გიური ზონა და შეუერთდა მდინარე წყალტუბოს სამკაპის მიდამოში, იქ, სადაც ბეტონირებული არხები იყრიან თავს. ცალკეული გრიფონები და ბურღილები დაიხურა, „ველური აბაზანებისათვის“ განკუთვნილი არხი, უფრო სწორად მდინარე წყალტუბოს ყოფილი კალაპოტი, ამოივსო. ამით საბოლოოდ დამთავრდა უდიდესი ჰიდროტექნიკური ღონისძიება წყალ-ტუბოს წყაროების ისტორიაში.

ბალნეოლოგიური ზონის ტერიტორია, რომელსაც არხებში მოქცეული მდინარე წყალტუბოს კალაპოტი რკალავს, 82—85 ჰა უდრის. ბალნეოლოგიური ზონის მხრიდან მთელ სიგრძეზე არხებს გასდევს ჭადრების ულამაზესი ხეივანი დოზირებული სიარულისათვის.

ბალნეოლოგიური ზონის შემცველი ველის სიგრძე ორი კილომეტრია, მაქსიმალური სიგანე კი—800 მეტრი, მისი საზღვ-რები გადაჭიმულია ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ, რუსთა-ველის მოედნიდან რუსთაველის პარკამდე აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ, ადმინისტრაციული რაიონიდან სანატორი-უმ „დრუჟბამდე“.

„ველური აბაზანების“ დახურვისა და მინერალური წყლის ერთ მთლიან, გამტან კოლექტორში მოქცევის შემდეგ, შე-საძლებელი გახდა ზუსტად გაზომილიყო წყალტუბოს მინე-რალური წყლის დებიტი, რომელიც ახალი გაანგარიშებით 19 მილიონ ლიტრს აღწევს დღე-ღამეში.

1970 წლის მაისში წყალტუბოში მოწვეული იყო სასარ-გებლო წიაღისეულთა საკავშირო სამარაგო კომისიის გამსვ-ლელი სესია. მოხსენებათა საფუძველზე კომისიამ მიიღო, რომ წყალტუბოს მინერალური წყლის სექსპლოატა-ციო მარაგია 220 ლ/სეკ (19 მილიონი ლიტრი დღე-ღამეში). დადგენილ იქნა, რომ 220 ლ/სეკ-დან ბალანსურია და ამჟამად გამოიყენება 164 ლ/სეკ. (14.170.000 ლ/დღე-ღამეში). 26 ლ/სეკ (2.246.000 ლ/დღე-ღამეში) ჯერ კიდევ არაა დაჭერი-



ლი სათანადო ჭაბურღილებში, მაგრამ მისი განსაზღვრა ხდება სამკაპის მიდამოში. ბალანსურმიღმური მარაგი (დაბალი რადიაქტივობისა და დაბალი ტემპერატურის მქონე წყალი) განისაზღვრება 30 ლ/სეკით (2.292.000 ლ/დღე-ღამეში).

ამჟამად თითქმის მთლიანად გამოყენებულია წყალტუბოს მინერალური წყლის საექსპლოატაციო, ბალანსური მარაგის დღის დებიტი (8 მლ ლ.-ძღე), გამოუყენებელი რჩება მინერალური წყლის ღამის დებიტი (6 მლლ), რომელიც ღამის განმავლობაში უქმად იღვრება.

ამ მდგომარეობამ თავისთავად დაბადა აზრი მინერალური წყლის ღამის დებიტის შენახვისა და მისი დღის საათებში გამოყენების შესახებ.

1968 წელს № 6 სააბაზანოსთან სპეციალურად აგებულ ნაგებობაში დაიწყო ღამის დებიტის შენახვისა და დღის საათებში გამოყენების შესაძლებლობის შესწავლა.

ექსპერიმენტის პირობებში მოხერხდა მინერალური წყლის იმგვარად შენახვა, რომ მას არამარტო შეენარჩუნებინა თავის ბუნებრივი ტემპერატურა, არამედ გამთბარიყო 1-2 გრადუსით.

ამავე დროს დადგენილია, რომ მინერალური წყლის 1-2 გრადუსით გათბობით გაზოვანი კომპონენტი და ქიმიური შემადგენლობა არსებითად უცვლელი რჩება. არ უნდა დაგვავიწყდეს წყალტუბოს მინერალურ წყალს (მისი სამკურნალო გამოყენების თვალსაზრისით) ქვეზღრუბლოვანი ტემპერატურა აქვს და რადგან მოხერხდა არა მარტო წყლის ბუნებრივი ტემპერატურის შენარჩუნება, არამედ რამდენადმეც მისი გათბობაც, სამკურნალო თვისებების მხრივ ღამით შენახული მინერალური წყალი უკეთესიც შეიძლება აღმოჩნდეს. ასეთი აზრი უკვე არსებობს იმ სააბაზანოთა (№ 3, № 5) მიმართ, სადაც მინერალური წყალი წინასწარ შემკრებ რეზერვუარებში გროვდება და შემდეგ მოედინება მოხმარების ადგილისაკენ (ინდივიდუალური სააბაზანოების ან აუზებისაკენ).

წყალტუბოს მინერალური წყლის შესახებ არსებობდა და დღესაც არსებობს აზრი, რომ მისი ტრანსპორტირება ან შენახვა წყლის სამკურნალო თვისებათა დაქვეითებას გამოიწვევს.

აღნიშნული პრობლემა 30-იან წლებამდე, როცა სააბაზა-
ნოებს უშუალოდ წყაროებზე აგებდნენ, თითქმის არც
ბობდა. ახალ სააბაზანოთა მშენებლობის აუცილებლობამ და-
ყენა მინერალური წყლის ტრანსპორტირების შესწავლის სა-
კითხი. უნდა დავძინოთ, რომ მინერალური წყლის ტრანსპორ-
ტირება უფრო ადრე იქნა პრაქტიკულად გადაჭრილი, ვიდრე
მეცნიერულად შესწავლილი.

პირველი სააბაზანო (№ 7), რომელიც მინერალური წყლის
გამოსავლიდან 24 — 26 მეტრის დაშორებითაა, აიგო 1933 —
1934 წლებში, პირველი ექსპერიმენტები კი ჩატარებულია
1937 — 1938 წლებში.

გ. წითლანაძემ, ე. მეტეხელმა და ა. ვარშამოვამ შეისწავ-
ლეს ძირითადი ქანებიდან მიღებული № 122 ბურღილის წყა-
ლი, რომელიც № 7 სააბაზანოს ერთ-ერთ ინდივიდუალურ
აბაზანამდე მიიყვანეს, რომლისგანაც 132 მეტრით იყო დაშო-
რებული.

დადგენილ იქნა, რომ წყალტუბოს მინერალური წყალი
მცირე მანძილზე ტრანსპორტირებისას არსებით ცვლილებებზე
არ განიცდის და ინარჩუნებს თავის სამკურნალო თვისებებს.

იმის გამო, რომ № 122 ბურღილის წყალი რადიუმის ემა-
ნაციის ძლიერ მცირე რაოდენობას შეიცავს, ავტორებმა გა-
მოთქვეს ფრთხილი მოსაზრება, რომ წყალტუბოს წყაროებში
რადიაქტივობის შემცველობის პროცენტს იქნება არც ჰქონ-
დესო გადამწყვეტი მნიშვნელობა. აქ მთავარია, რომ წყალტუ-
ბოს აბაზანების მიღების პროცესში მინერალური წყალი გამ-
დინარეა და ისიც, რომ ამ წყლის გაზოვან ფრაქციაში რადო-
ნის შემცველობა 3-5-ჯერ მეტია, ვიდრე თვით წყალში.

ორმოცდაათიან წლებში № 6 სააბაზანოს მაგალითზე, რო-
მელიც ბურღილებიდან 16—17 მეტრითაა დაშორებული.
აგრეთვე № 85 ბურღილიდან № 1 სანატორიუმამდე 240 მეტრ
მანძილზე ტრანსპორტირებული მინერალური წყლის თვისე-
ბების შესწავლის საფუძველზე კ. ცაგარელმა, ბ. ბეროძემ,
ტ. შიხაშვილმა დაადასტურეს, რომ ახლო მანძილზე ტრან-
სპორტირებული წყალტუბოს მინერალური წყლის ფიზიკურ-
ქიმიური ცვლილებები იმდენად უმნიშვნელოა, რომ მან გავ-
ლენა ვერ უნდა მოახდინოს მათ ბალნეოლოგიურ თვისებებზე.



წყალტუბოს წყაროებში მინერალური წყლის დებიტი, ტემპერატურა და რადონის შემცველობა სხვადასხვაა.

წყალტუბოს წყლის წარმოშობის ირგვლივ დღეისათვის ერთიანი აზრი არ არსებობს. ადრინდელი მკვლევარები კირქვების სისქესა და შესაბამისად მინერალური წყლის ცირკულაციის სიღრმეს 600-დან 900 მეტრამდე ითვლიდნენ. უკანასკნელი 15 — 20 წლის წინანდელი მინერალური წყლების რაიონში ჩატარებული ბურღვითი სამუშაოებით დადგინდა, რომ აღნიშნული კირქვოვანი ფენების სისქე 400 მეტრს არ აღემატება.

წყალტუბოს წყლის გენეზისზე თავდაპირველად აზრი ჯერ კ. კ. ფოხტმა (1913), შემდეგ კი ვ. ა. ბაბემ (1915) გამოთქვეს. მათი აზრით, წყალტუბოს წყალი ატმოსფერული წარმოშობისაა, რომელიც კირქვიანი ნაპრალების საშუალებით აღწევს წყალგაუმტარ იურის ქანებამდე. ბარემულ (ქვედაცარცოვანი სისტემის მესამე იარუსი ქვემოდან) ქანებში წყალი ძლიერდება მარილებით და ჰიდროსტატური წნევის წყალობით, დარღვეული ნაპრალების გზით ამოდის ზედაპირზე. ეს მოსაზრება გაიზიარა ა. ი. სილინ-ბეკჩურინმა (1927—1928) და დაუმატა, რომ ატმოსფერული ნალექები ტიტონურ ქანებამდე ჩადის და იქ იძენს მინერალიზაციას.

ა. ნ. გერასიმოვი (1918) ლიტერატურის მონაცემებით სწავლობდა რა წყალტუბოს მინერალური წყაროების ჰიდროგეოლოგიას, მისი ქიმიური შემადგენლობის საფუძველზე წყალტუბოს წყალი იუვენური ბუნების, შერეული წარმოშობის წყლებად ჩათვალა.

იმის გამო, რომ წყალტუბოს მინერალურ წყალს შედარებით დაბალი ტემპერატურა აქვს და ღარიბია ნახშირმჟავა კალციუმით ნ. ა. ოგილვიმ (1933) მისი ფორმირების ირგვლივ გამოთქვა აზრი, რომ დიდი სიღრმიდან იურის ქანებიდან ნაპრალების გზით მოედინება მინერალური წყლის ქლორით მდიდარი ძირითადი ნაკადი. ტიტონებსა და ქვედაცარცოვან შრეების ქვეშ იგი განზავდება სულფატითა და კალციუმის ჰიდროკარბონატით მდიდარი მტკნარი წყლებით, რის გამოც 35°-მდე ქვეითდება მინერალური წყლის ტემპერატურა. შემ-

დღე დარღვეული ნაპრალების გზით ამოდის ქვედაცარცოვან კირქვებში, სადაც ბაზალტის დაიკებით (სვეტებით) არიან დაცული მტკნარი კარსტული წყლებისაგან. მდინარე წყალტუბოს მონალექ ქანებში აქტიურ ქვიშებთან შეხებისას მდიდრდება რადიუმის ემანაციით.

ა. მ. ოვჩინიკოვის სქემით, დასაშვებია წყალტუბოს მინერალური წყლის ქიმიური შემადგენლობის ფორმირება მეტამორფოზული ზღვის წყლის კარსტულ-ნაპრალოვანი გზით შეღწევით კირქვოვან ქანებში, როდესაც ისინი გადაირეცხენ მესამეული ზღვით.

წყალტუბოს წყალს თავისი უდიდესი დებიტის წყალობით ყოველდღიურად ზედაპირზე ამოაქვს 15 ტონაზე მეტი მინერალური მარილი, მათ შორის 2,5 ტონამდე სუფრის მარილი. რადგან ქვედაცარცოვან კირქვებს თავიანთი ბუნებით არ შესწევთ უნარი მტკნარი წყლის მინერალიზაციისა, თუნდაც ისეთი ხარისხით, როგორაც ეს წარმოდგენილია წყალტუბოს წყალში, ამიტომ მართებულად უნდა ჩაითვალოს მკვლევართა ცდა ახსნან წყალტუბოს წყლის მინერალიზაცია მინერალიზებული წყლის გარედან მიგრაციითა და მისი შემდგომი შერევით მტკნარ წყლებთან.

მ. გ. ფალავა (1954), აღიარებს რა ა. მ. ოვჩინიკოვის სქემას, წყალტუბოს წყალს განიხილავს როგორც უძველესს (ა. ოვჩინიკოვის მიხედვით წყალტუბოს წყლის ასაკი 150 — 155 ათასი წლით განისაზღვრება), რომლის ფორმირებაშიც არსებითად მონაწილეობს თანამედროვე ჰიდროქიმიური პროცესები.

მ. ფალავას აზრით, წყალტუბოს მინერალური წყლის ფორმირება ხდება მიწისქვეშა სტატიური წყლების უდიდესი რესურსების ხარჯზე, რომელიც მომწყვდეულია ეროზიული ბაზისის ქვეშ, ქვედაცარცოვანი კირქვების ნაპრალებში. იგი განიტვირთება ბალნეოლოგიურ ზონაში, კარსტული წყლების ჰიდროსტატიური წნევის ზეგავლენით, რომელიც მნიშვნელოვნად ამტკნარებს ზედაპირზე გამოდევნილ მინერალურ წყალს. თუმცა მინერალური წყლის სტატიური მარაგი იმდენად აჭარბებს მასში შეღწეულ კარსტულ წყლებს, რომ ამ უკანას-

კნელთ პრაქტიკულად არ შესწევთ უნარი მინერალური წყლის გამტკნარებისა.

სტატიკური რესურსების მარილოვანი კომპონენტის გაწონასწორებას შეიძლება დამატებით ემსახუროდეს ზღვის მარილოვანი კომპლექსის დიფუზია და გამოტუტვა ქვედაცარცოვანი კირქვების გადამხურავ მერგელურ ქვიშოვან მონალექებიდან.

რადიაქტიური თვისებების შექენას წყალტუბოს წყალი ვალანჟინის (ცარცოვანი სისტემის ქვედა იარუსი) კვარციან ქვაქვიშებში იწყებს, თუმცა რადონით მისი გამდიდრება ძირითადად მდინარე წყალტუბოს ველზე წყალგაუმტარი თიხების ქვეშ, ლინზებად განლაგებულ ალუვიურ (მდინარეულ) ქვიშებში ხდება.

ქვიშათა ნიმუშების მინერალოგიური შესწავლით აკად. გ. ძოწენიძემ და დოც. ს. სირტლაძემ (1948) ყველა სინჯის ერთგვარი შემადგენლობა დაადასტურეს. ამათგან 70—85% წარმოდგენილია მძიმე ფრაქციით (მაგნეტიტი, ლხმენიტი, პირიტი, მარკაზიტი, ლიმონიტი და ბოლვინგიტი). მეორე ადგილზეა პირკსენები. მსუბუქი ფრაქცია წარმოდგენილია შეცვლილი პალაგიოკლასაზით. ყველა სინჯში მონაწილეობს ცირკონი, ხოლო № 6/24 ბურღულის გაყვანისას ნახულ იქნა შავი მარგანეცისებური მინერალის სოლიტების მნიშვნელოვანი რაოდენობა.

ამ მინერალებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შავი მარგანეცისებური მინერალები და ცირკონი. ეს უკანასკნელი მონაწილეობს თითქმის ყველა სინჯში 0,3—9,9% შესაბამისი ფრაქციის წონითი ოდენობით. ცნობილია, რომ ცირკონება ღშირად არიან რადიაქტიურნი, რადგან შეიცავენ თორიუმსა და ზოგჯერ ურანსაც.

შესაძლებელია, რომ ცირკონი განაპირობებს ძირითად ქანებისეული სუსტი რადიაქტივობის მქონე წყლის შესამჩნევ გამდიდრებას წყალტუბოს ქვაბულის ალუვიალური მონალექი ქანების ქვიშოვან ლინზებში, რომელთა სისქეც 6—8 მეტრითაა განსაზღვრული. ამ ნიმუშთა დეტალურ რადიომეტრიულ შესწავლას შეუძლია საბოლოოდ გადაწყვიტოს წყალ-

ტუბოს თერმების მონალექ ქანებში რადონით გამდიდრების პირობები (მ. ფალავა).

წყალტუბოს მინერალური წყლის ღირსებათაგან, გარდა ტემპერატურისა, რომელიც უახლოვდება სხეულის ფიზიოლოგიურ ტემპერატურას, აღსანიშნავია დიდი დებიტი. ეს კი იმის საშუალებას იძლევა, რომ ავადმყოფებმა მიიღონ გამდინარე აბაზანები. აბაზანის მიღებისას წყალი გამუდმებით მოედინება აბაზანაში, ავსებს მას და გვერდით კედელში, გარკვეულ დონეზე მოთავსებული ხვრელით გადაედინება. მინერალური წყლის ხარჯი თითოეული აბაზანის მიღებისას 1000 ლიტრამდე აღწევს და ზოგჯერ (აუზებში) მეტიცაა. ნაცვლად სხვა კურორტებზე დახარჯული 250-300 ლიტრისა..

გამდინარების პრინციპი საშუალებას იძლევა აბაზანის მიღების მთელ პერიოდში შენარჩუნებული იქნეს წყლის ყველა ფიზიკურ-ქიმიური თვისება — ტემპერატურა, მინერალური კომპონენტი, რადონი... თანაც უნდა დავუმატოთ, თუ ერთ ლიტრში რადონის 3-5 მახეს ერთეულია, 1000 ლიტრში 3000—5000 ერთეული იქნება და ამდენივე დაიხარჯება ერთ პროცედურაზე. ეს რიცხვი თუ კი გამრავლებული იქნება რადონის იმ რაოდენობაზე, რომელიც წყლიდან სხეულზე გამონაყოფ გაზოვან ბუშტუკებშია (ამ ბუშტუკებში იგი 3-5 ჯერ მეტია) მივიღებთ საკმაოდ შთამაგონებელ ციფრებს და დასკვნას რადონის თერაპიულ ღირებულებაზე.

წყალტუბოს წყაროების მინერალური კომპონენტი რომ მერყეობს და არ ექვემდებარება, ეს იქედანაც ჩანს, რომ პროფ. ვასილ პეტრიაშვილის მიერ გაკეთებული ქიმიური ანალიზი იძლევანდლამდე, 70 წლის განმავლობაში თითქმის არ შეცვლილა. წყალტუბოს წყლის ქიმიური შემადგენლობა კურლოვის ფორმულით წარმოდგენილია ანიონებით: სულფატით, ჰიდროკარბონატითა და ქლორით და კათიონებით-კალციუმ-მაგნიუმ-ნატრიუმით. ანიონებიდან სჭარბობს სულფატი, კათიონებიდან კალციუმი.

წყალტუბოს წყაროების ქიმიური შემადგენლობის ერთგვარობა და სტაბილობა დროში ამ წყლების ერთ-ერთი თავისებურებათაგანია და მისი ცვალებადობა ქიმიური ანალიზის სიზუსტის ფარგლებს არ სცილდება, რაც დასტურდება არამარტო

სისტემატური საკონტროლო ანალიზებით, არამედ საკმაოდ მარტივი და ერთობ ზუსტი ელექტროგამტარობის მეთოდითაა. ელექტროგამტარობა წყალტუბოს ყველა წყაროსათვის გვარია, იგი არ იცვლება წლის სხვადასხვა დროს და სხვადასხვა მეტეოროლოგიურ პირობებში (ბ. პ. ნიკოლსკი და სხვ.).

წყალტუბოს მინერალურ წყალს მეტად თავისებური ქიმიური შემადგენლობა აქვს. იგი ძირითადად იონებს შეიცავს ისეთი რაოდენობითა და შეფარდებით, რომ ყველანი მონაწილეობენ წყლის დახასიათებაში. ამ მხრივ წყალტუბოს წყალი იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენს. ძირითადი იონები წყალტუბოს წყალში, მართალია, ძლიერ მცირე რაოდენობითაა, სამაგიეროდ, მეტად აქტიურ მდგომარეობაშია, იონების კონცენტრაციასთან ერთად არსებითი მნიშვნელობა ენიჭება იონების აქტივობას მინერალურ წყალში, უფრო მეტიც, უმრავლეს შემთხვევაში სწორედ იონთა აქტივობაა განმსაზღვრელი და არა კონცენტრაცია (ბ. პ. ნიკოლსკი და სხვ.).

გ. წითლანაძე აღნიშნავს, რომ წყალტუბოსა და ბორჯომის წყაროებში მიუხედავად კალციუმის იონების თანაბარი შემცველობისა (123—126 მგ), წყალტუბოს წყალში კალციუმის აქტივობა ორჯერ მეტია და ეს იმიტომ, რომ ბორჯომის წყალს უფრო მეტი იონური ძალა აქვს. გარდა ძირითადი იონებისა, ისინი შეიცავენ მიკროელემენტებსაც — ლითიუმსა და ბორს (კ. ცაგარელი, ტ. შიხაშვილი, 1952 წ.), ბრომსა და იოდს (ე. კარნსტენსი, 1927, კ. ცაგარელი, ტ. შიხაშვილი, 1952), მარგანეცს, ცინკუმსა და სპილენძს (ქ. ლომთაძე, 1956), რომელთა რაოდენობრივი შემცველობაც საკმაოდ არ არის შესწავლილი.

იმის გასარკვევად, თუ რომელი ქიმიური ელემენტია წამყვანი წყალტუბოს წყაროებში, პროფ. დ. ერისთავის მიერ 86 სრული ქიმიური ანალიზი გაკეთებულია იმდაგვარად, რომ გარკვეულიყო ფუნქციური დამოკიდებულება იმ კათიონებსა და ანიონებს შორის, რომლებიც ფაქტიურად განსაზღვრავენ წყლის მინერალიზაციას. ამგვარი გზით დადგინდა, რომ ასეთ იონებს წარმოადგენს კათიონებიდან კალციუმი და მაგნიუმი, ანიონებიდან კი ჰიდროკარბონატი და სულფატ იონები და რომ მოლეკულარული შეფარდება ჰიდროკარბონატისა სულფატ იონთან და კალციუმისა მაგნიუმთან გამოხატულია საკმაოდ

მყარი კოეფიციენტით, რაც აგრეთვე, ავტორის აზრით, ამ წყლების ფორმირების პირობებისადმი მიდგომის საშუალებას იძლევა. როგორც ჩანს, წყალტუბოს წყაროები მიწის წიაღში გაივლიან ისეთ ფენებს, რომლებიც შესაძლებლობას აძლევენ ამ იონებს დინამიკურ წონასწორობაში იყვნენ ურთიერთთან.

მინერალური წყლის ასეთი რთული შემადგენლობა და შემცველი ინგრედიენტების თავისებური დამოკიდებულება გვაფიქრებინებს, რომ წყალტუბოს მინერალური წყლების გენეზისში, შემადგენლობის გარდა რაღაც გარკვეული მომენტები უნდა მონაწილეობდეს ს. ა. შჩუკარევი).

დ. ერისთავისა და ვ. ულუხანოვის მიერ შესწავლილ იქნა ბიოლოგიურად აქტიური ელემენტი კალიუმი, რომელიც მინერალურ წყლებში გამოითვლება ნატრიუმზე გადაანგარიშებით და საერთო ჯამით ნატრიუმი + კალიუმი. გამოირკვა, რომ წყალტუბოს წყაროები, სხვა მინერალურ წყაროებთან შედარებით, მეტ კალიუმს შეიცავენ და რომ კალიუმის ნატრიუმთან შეფარდების კოეფიციენტიც (0,11) მაღალია.

სადღეისოდ ჩვენთვის ცნობილი ქიმიური კომპონენტებიდან წყალტუბოს წყაროები შეიცავენ აგრეთვე კაუბადს 0,021—0,022 გრ/ლ, რომელიც წყლის დაბალი (7,2) PH-ის გამო არა იონური სახითაა წარმოდგენილი, არამედ კოლოიდურ მდგომარეობაშია, დისპერსობის უმაღლესი ხარისხით (ბ. პ. ნიკოლსკი და სხვ.) გარდა ამისა, რომ კაუბადს თავისთავად შეიძლება ჰქონდეს ბალნეოთერაპიული მნიშვნელობა, უნდა ვიფიქროთ, რომ იგი ხელს უწყობს აგრეთვე რადონის დაშლის პროდუქტების კანზე დალექვას (ა. ნ. ოგილვი, ლ. კ. არჟელასი).

წყალტუბოს წყაროების შემადგენლობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს გაზები — აზოტი, რადონი, ჰელიუმი, არგონი. წყალტუბოს წყაროებში გახსნილი აზოტი ზენაჯერ მდგომარეობაშია. ერთ ლიტრში 18 კუბ. სმ-ზე მეტი აზოტი მოდის და მისი პარციალური სიმკვრივე ერთნახევარი ატმოსფეროა. ამის გამო ჰაერთან, აგრეთვე სხეულთან შეხებისას აზოტი გამოიყოფა გაზოვანი ბუშტების სახით. გაზების სპონტანური გამოყოფა განსაკუთრებით თვალნათლივია იმ

სააბაზანოთა აუზებში, რომლებიც უშუალოდ მინერალურ წყაროებზეა აგებული. აბაზანის მიღებისას სხეული გაზოვანი ბუშტუკების სქელი ფენით. აზოტის დიდი რაოდენობით შემცველობის გამო წყალტუბოს წყლებს, პროფ. გ. წითლაძის წინადადებით, „აზოტურსაც“ უწოდებენ. წყალტუბოს წყაროები რომ აზოტური ტიპისაა, ამას ადასტურებს გაზებში ჰელიუმის აწეული ოდენობა, როგორც ეს ამ ტიპის წყლებისათვისაა დამახასიათებელი (პროფ. ვ. გ. ხლოპინი). საერთოდ აზოტისა და ჰელიუმის რაოდენობრივი შემცველობა წყალტუბოს წყლებში მეტია, ვიდრე ატმოსფერულ ჰაერში. აზოტი წყალტუბოს წყაროებში არ უნდა იყოს ორგანული წარმოშობის, არამედ შთანთქმულია ჰაერიდან და ჩამარხული მიწის წიაღში. ამის დასამტკიცებლად მოჰყავთ ის ფაქტი, რომ არგონის შეფარდება აზოტთან წყალტუბოს წყლის გაზოვან ფრაქციაში ისეთივეა, როგორც ატმოსფერულ ჰაერში.

წყალტუბოს მინერალური წყლის მნიშვნელოვანი შემადგენელია რადონი. რადიუმის ემანაციის რაოდენობრივი შემცველობით წყალტუბოს წყლები სუსტ რადიაქტიულ თერმებს მიეკუთვნება. რადგან წყალტუბოს წყაროები შეიცავენ რადონის მიღებულ ზღურბლზე უფრო მცირე რაოდენობას, თავიდანვე საჭოჭმანო გახდა ამ წყაროების მიკუთვნება რადონული წყლების ჯგუფისადმი, ამიტომ რ. კუპცისის მიერ მათში რადონის აღმოჩენის შემდეგ ამტყდარი დავა—ეკუთვნიან თუ არა წყალტუბოს მინერალური წყაროები რადონულს — დღევანდლამდე არ შეწყვეტილა. თუმცა წყალტუბოს ალორძინების გარიჟრაჟზე ამგვარად დასმული კითხვა პირველმკვლევარებმა რადონის სასარგებლოდ გადაწყვიტეს, რადგან წყალტუბოს წყაროები რადიაქტიური წყლებისათვის დამახასიათებელ სპეციფიკურ რეაქციას იწვევს (ა. ნ. ოგილვი, ლ. კ. არყელასი).

რადონი ხანმოკლე გამძლეობის ინერტული გაზია, სხვა ელემენტებთან არ იძლევა შენაერთებს და წყალში იხსნება გარკვეული პროპორციით.

რადონის სრული დაშლის პერიოდი 30 დღეს უდრის, დაშლის შედეგად წარმოიშობა კიდევ უფრო ხანმოკლედ გამძლე პროდუქტები — რადიუმი „A“, რადიუმი „B“ და რადიუმი

„C“, რომელთა არსებობის ხანგრძლივობაც წუთებით განისაზღვრება; თავისი გარდაქმნის პროცესში რადონი გამოასხივებს მხოლოდ ალფა სხივებს (ამიტომაც მიღებული ტერმინი ალფათერაპია), ხოლო მისი დაშლის პროდუქტები სამივე (ალფა, ბეტა, გამა) სხივებს და მათ მნიშვნელოვან როლს მიაწერენ რადონული წყლების ორგანიზმზე ფიზიოლოგიური მოქმედების მექანიზმში, რადგანაც ამჟამად დადასტურებულია მხოლოდ აქტიური ნალექის ფიზიოლოგიური მოქმედება (ე. ს. შჩეპოტიევა).

რადონის ხსნადობის კოეფიციენტის (წყალში არსებული რადონის კონცენტრაციის შეფარდება რადონის რაოდენობასთან გაზოვან ფრაქციაში) ყველა წყაროსათვის იგივეობას (0,18) მეტად მნიშვნელოვან დებულებამდე მივყავართ—წყალტუბოს წყაროებში გაზოვანი ფრაქციის წარმოშობა ისეთ სიღრმეზე ხდება, რომ ზედაპირზე ამოსვლამდე წყალში არსებული რადონი ასწრებს გაწონასწორებას გაზოვან ბუშტუკებში არსებულ რადონთან (ბ. ბეროძე). სწორედ ამ კოეფიციენტიდან გამომდინარეობს მოსაზრება, რომ გაზოვან ფრაქციაში რადონის შემცველობა 3—5-ჯერ მეტია, ვიდრე საკუთრივ წყალში.

აბაზანების მიღებისას დადასტურებულია რადონის ორგანიზმში შეჭრა დაუზიანებელი კანიდან და სასუნთქი გზებიდან. ორგანიზმში მოწვედრილი რადონის ძირითადი ნაკადი მაინც კანიდანაა შეღწეული. ამასთან ალფა სხივებს შეღწევადობის მცირე უნარი აქვს და ისინი კანის ზერელე შრეებში შთაინთქმებიან. ბეტა სხივები კათოდური სხივების ანალოგიურია, შეღწევის მეტი უნარი აქვთ და კანის ღრმა შრეებამდე აღწევენ. გამა სხივები ელექტრომაგნიტური სხივების მსგავსია, შეღწევის განსაკუთრებული თვისებებით არის აღჭურვილი; მათ შეუძლიათ გაიარონ რამდენიმე სმ-ის სისქის ტყვიის ფირფიტაში და ორგანიზმშიც ღრმად იჭრებიან.

ორგანიზმში შეჭრილი რადონი აბაზანიდან ამოსვლის შემდეგ თანდათანობით გამოიყოფა ორი საათის განმავლობაში. კანზე წარმოშობილი აქტიური ნალექი კი სამ საათს განაგრძობს მოქმედებას (ვ. ქათამაძე).

წყალტუბოს მინერალური წყლის კაპტაჟისა და საერთოდ ბალნეოტექნიკის თვალსაზრისით ყურადსაღებია, რომ წყლის ტრანსპორტირებისას ხდება რადონის დაშლის ხანმოკლე გამძლეობის პროდუქტების ადსორბცია და ეს პროცესი მით უფრო ინტენსიურია, რაც მეტია მაადსორბცირებელი (მილის) ზედაპირი და ნაკლებია წყლის ნაკადი.

გარდა ამისა, აღმოჩნდა, რომ ნიადაგიდან ამოსვლისთანავე მოხმარებული წყალი გაცილებით ნაკლები რაოდენობით შეიცავს რადონის დაშლის პროდუქტებს, ვიდრე წყალი, რომელიც მოხმარებამდე დაყოვნებული იყო შემკრებ რეზერვუარებში.

წყალტუბოს მინერალური წყლის რადონით გამდიდრების ირგვლივ ჩატარებული დაკვირვებებით მეტად ყურადსაღები მონაცემები იქნა მიღებული, კერძოდ, ძირითადი და ნაყარი (მონალექი) ქანებიდან მიღებული წყლის დებიტის ექსპერიმენტული გზით შეცვლასთან დაკავშირებით. შენიშნულია ერთმანეთის დიამეტრალურად საწინააღმდეგო კანონზომიერებანი. ძირითადი ქანებიდან მიღებული წყლის დებიტის გაზრდისას მატულობს რადონის კონცენტრაცია წყალში, დებიტის შემცირებით კი მცირდება რადონის რაოდენობა. მაშინ როდესაც ნაყარი ქანებიდან მიღებული წყლის დებიტის მონატებისას მცირდება რადონის კონცენტრაცია და პირიქით (საკაპტაჟო ჭაბურღილთათვის 0,5 ლ/წ ითვლება ოპტიმალურ დებიტად).

ამ დაკვირვებებმა ბ. ბეროძე მიიყვანა დასკვნამდე, რომ ძირითადი ქანებიდან მიღებული წყალი რადიაქტივობას იძენს წყალტუბოს რაიონის გარეთ.

რადონის ხანმოკლე სიცოცხლისუნარიანობის გამო (ნახევრად დაშლის პერიოდში 3-8 დღეა) ძირითადი ქანებიდან მიღებული წყლის სიჩქარის (დებიტის) შემცირებისას რადონის რაოდენობა მასში კლებულობს, რადგან ნაყარ ქანებში ფილტრაციისას ადსორბციის გზით კარგავს რადიუმსა და რადონს და წარმოქმნის რადიაქტიურ ფოკუსებს.

სწორედ ამ ფოკუსებში მდიდრდება რადონით ნაყარი ქანების წყალი და რაც ხანგრძლივია ამ ფოკუსებთან წყლის შე-

ხება (ე. ი. ნაკლებია დებიტი), მით უფრო მეტ რადონს შეიცავს ნაყარი ქანებიდან მიღებული წყალი.

წყალტუბოს წყლის რადიაქტივობა ფუნქციურ დამოკიდებულებაშია ქვიშასთან წყლის შეხების ხანგრძლივობასთან. წყლის სრული გაჯერებისათვის, რადონისა და რადიუმის დამოკიდებულებათა გაწონასწორებისათვის წყალტუბოს პირობებში საჭიროა წყალი ქვიშასთან შეხებაში 30 დღის განმავლობაში იმყოფებოდეს.

აქვე უნდა დავძინოთ, რომ ქვიშაში წყლის ხანგრძლივად დაყოვნება მისი ტემპერატურის დაქვეითებას გამოიწვევს, ამ გზის შემოკლებისას კი წყალი ვერ ასწრებს რადონით გაჯერებას. კაპტაჟის მოწყობისას იმის ცდა, რომ მიღებული იქნას რადონით მაქსიმალურად გაჯერებული წყალი, იზღუდება ტემპერატურის აბსოლუტურად შენარჩუნების აუცილებლობით, და იმითაც, რომ წყლის რესურსები არ უნდა შემცირდეს მნიშვნელოვნად არსებულთან შედარებით.

ეს პირობები ძლიერ ზღუდავს მაღალი რადიაქტივობის მქონე წყლის ექსპლოატაციაში გაშვების შესაძლებლობას.

ჩვენ გვგონია და ამაზე გაკვრით ჯერ ლ. არქელასი და ე. შჩეპოტიევა (1934), შემდეგ კი გ. წითლანაძეც (1947) წერდა, რომ რადონის კონცენტრაციას წყალტუბოს წყალში არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, წყალტუბოს წყალს შეიძლება არც კი ჰქონოდა სამკურნალო თვისებები. მასში ხომ რადონი სამკურნალო წყლებისათვის მიღებულ ნორმაზე ნაკლებია. წყალტუბოს პირობებში რადონის შემცველობა 1 ლიტრში 3 მახეს ერთეული იქნება თუ 0,5. ამას არ უნდა შევხედოთ ეჭვის თვალით კონდიციურობის პოზიციებიდან. აქ მთავარია რადონის საერთო ოდენობა, რომლის გავლენის ქვეშაც ექცევა ავადმყოფი წყალტუბოს აბაზანების მიღებისას. თვით წყალტუბოს ბუნებრივი წყალია თავისთავად მთავარი და არა მასში ისედაც სუსტად მოცემული ამა თუ იმ ინგრედიენტის უმნიშვნელო რაოდენობრივი გადახრა.

აკად. ა. ჯანელიძემ ყურადღება მიაქცია წყაროებიდან და გრიფონებიდან აორთქლების მნიშვნელოვან გავლენას წყლის

საექსპლოატაციო დებიტზე, რაც გამორიცხულია კაპტაჟის
ჭაბურღილების საშუალებით მოწყობისას.

რადიაქტიური ფოკუსების წარმოქმნის მექანიზმი საბო-
ლოდ არაა ახსნილი. არსებობს მეორე ჰიპოტეზაც მთების
აქტიური ქანების დაშლისა და გარედან მათი მოტანის შესა-
ხებ, მაგრამ ბ. ბეროძე უპირატესობას ამ ფოკუსთა წარმოშო-
ბის ადსორბციულ მექანიზმს ანიჭებს.

ამ დებულებებს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს და
ისინი უსათუოდ უნდა გავითვალისწინოთ ახალ სააბაზანოთა
მშენებლობისა და ძველი სააბაზანოების რეკონსტრუქციის
დროს.

საინტერესოა პროფ. გ. წითლანაძის წინადადება ყველა სა-
კაპტაჟო ნაგებობის რეკონსტრუქციის შესახებ. თუმცა სასურ-
ველია დარჩეს ის საკაპტაჟო ნაგებობანი, რომლებმაც სახელი
გაუთქვეს წყალტუბოს.

მოგვიანებით დამტკიცდა წყალტუბოს მინერალურ წყარო-
ებში დეიტერიუმის არსებობა, რომელსაც შეესატყვისება
წყლის იზოტოპური სახესხვაობა ე. წ. მძიმე წყალი. წყალტუ-
ბოს მინერალურ წყაროებში იგი თანაბრადაა (3—4 %) წარ-
მოდგენილი, მაგრამ ძლიერ განზავებულ მდგომარეობაშია.
მძიმე წყლის ბიოლოგიური ბუნება არაა საფუძვლიანად
შესწავლილი, თუმცა ზოგიერთი ავტორი მიუთითებს, თითქოს
იგი სტიმულს აძლევდეს ორგანიზმის ცხოველყოფელობას.

წყალტუბოს წყლის სახელწოდება სადღეისოდ არ არის უნი-
ფიცირებული. სხვადასხვა ავტორი სხვადასხვა სახელწოდე-
ბით ისახენიებს. უფრო მეტიც, ხშირად ერთი და იგივე ავტო-
რი სხვადასხვა შრომაში, ზოგჯერ კი ერთსა და იმავე შრომა-
შიც ხან „თერმულს“, „რადიაქტიულს“, „რადონულს“, „გა-
ზოვანს“, „მინერალურს“, „სულფატურ-ჰიდროკარბონატულ-
ქლორიდულ-კალციუმ-მაგნიუმ-ნატრიუმთან“ უწოდებს. ხა-
ნაც ყველას ერთად, ან შერჩევით ამა თუ იმ კომბინაციას.



ჩვენი აზრით, უმჯობესია ვისარგებლოთ ტერმინით „წყალ-
ტუბოს მინერალური წყალი“ ან, როგორც უკანასკნელ ხანს
ხმარობენ, წყალტუბოს „სამკურნალო“ წყალი, ანდა უბრა-
ლოდ „წყალტუბოს წყალი“, ხომ ამბობენ „ბორჯომის წყალი“
და ეს გაცილებით ბევრის გამომხატველია, ვიდრე ამ წყლის
სრული სახელწოდება (ნახშირმჟავა-ჰიდროკარბონატულ-ნატ-
რიუმისანი).

ამგვარად, წყალტუბოს წყალი იზოთერმული, უფრო სწო-
რად სუბთერმული (მისი ტემპერატურა 37° ნაკლებია), სუს-
ტი მინერალიზაციის, სუსტი რადიაქტივობის მქონე აზოტური
სამკურნალო წყალია, რომლის სამკურნალო-პროფილაქტიკუ-
რი თავისებურებანი მასში მოცემული ელემენტების ურთუ-
ლესი კომპლექსით უნდა აიხსნას.

სააბაზანოები

წყალტუბოს აბაზანები ტოქსიკურ ელემენტებს არ შეიცავენ, სააბაზანო პროცედურებით გამოწვეული ჰემოდინამიკური ძვრები მსუბუქია და მას ადვილად იტანენ ავადმყოფები, რაც საშუალებას იძლევა გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებულებსაც კი დღე-ში 20-წუთიანი და ორჯერადი აბაზანები დაენიშნოთ.

პროფ. ი. ა. ვალედინსკი 1934.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ძველი აბანო №1 წყარო მკურნალობის ერთადერთ კერას წარმოადგენდა.

XIX საუკუნის 60-იანი წლებისათვის წყალტუბოში უკვე ორი ნატურალური აუზია (ნ. ტოროპოვი, 1864). 1865 წელს კი ხუთი წყარო ემსახურება ავადმყოფთა მკურნალობას (ი. პანტიუხოვი).

XIX საუკუნის 70-იანი წლებისათვის ერთ-ერთი წყაროსათვის აუზის კედლები ქვით ამოუშენებიათ (მ. სკოროვი).

1886 წელს რომ წყალტუბოში სააბაზანო შენობა არ ყოფილა, ამას გვამცნობს გაზეთი „ივერია“: „წყალი დგას ოთხ-კუთხს ორმოებში, ორმოები კაცის სიმაღლეზეა გათხრილი, სიგანით ხუთ-ექვს საყენამდე“.

1891 წლის „ივერიის“ 5 ნოემბრის ნომერში სადაც ლაპარაკია ქუთაისიდან წყალტუბოში გზის გაყვანაზე: „ახალი გზა ქუთაისიდან დაუპირდაპირეს აბანოებს“... ძნელია იმის გარკვევა ამ „აბანოების“ ქვეშ ისევ ორმოები იგულისხმება თუ სააბაზანო შენობა.

1893 წლის 9 აპრილის „ივერიაში“ წყალტუბოს შესახებ გამოქვეყნებულ წერილში უკვე სააბაზანოზეა საუბარი. გაზეთი კატეგორიულად აყენებს საკითხს „აბანოს განყოფილებისა და აუზების ჯეროვნად მორთვა-მოწყობის“ შესახებ:

ამგვარად, 1893 წლისათვის პირველი სააბაზანო შენობა აგებულია და იგი „ძველი აბანო“ აწინდელი №1 სააბაზანოა. რადგან განყოფილებები და აუზები მხოლოდ „ძველ აბანოს“ ჰქონდა. დიდი სიზუსტით შეიძლება ითქვას, რომ იგი აგებულია 1892 წელს.

ჩვენამდე მოღწეულ ძველ სააბაზანოებიდან „ძველი აბანოს“ (№1 აბაზანის) შემდეგ „არქიელის აბანო“ (№4 აბაზანა) უნდა იყოს სხვებზე ადრე აშენებული. XX საუკუნის დასაწყისში წყალტუბოში აგებული იყო სამი აბანო — „ძველი“ (№1), „გუბერნატორის“ (№2) და „არქიელის“ (№4). ამათგან „ცხელი“ („ძველი“ და „გუბერნატორის“) საყრდენ-მამოძრავებელი ორგანოების დაავადებათა სამკურნალოდ გამოიყენებოდა. „ცივი“ („არქიელის“, „კოდის წყალი“) აბანოები კი — ნერვული სისტემისა და გულის დაავადებათა სამკურნალოდ.

XIX საუკუნის მიწურულამდე წყალტუბოში ორი აბანოს მეტი არა ჩანს და ამას გაზეთი „კვალიც“ (1896, №25) ადასტურებს „აბანო ორია, მონაწილე კი ორმოციო“.

„ძველი“ (№1) და „არქიელის“ (№4) აბანოთა კვალად „გუბერნატორის“ (№2) აბანო უნდა მოწყობილიყო, რადგან წყალტუბოში სამკურნალოდ ჩამოსულთა ძირითადი კონტინგენტი საყრდენ-მამოძრავებელი სისტემით დაავადებულებია. ამიტომ „ძველი“ (№1) აბანო ვეღარ შეძლებდა დაეკმაყოფილებინა ისინი. ბ. ვაშაძე 1901 წლის „ივერიის“ ივნისის ნომერში წერს, რომ წყალტუბოში ორი აბანოა — გაღმა და გამოდმა. გამოდმა აბანო რომ „არქიელის“ აბანოა, ამაზე პასუხს თვით ბ. ვაშაძის წერილი იძლევა, აღწერს რა ამ აბანოსთან მდებარე „კუჭის წყაროს“.

ლ. ბერტენსონიც ამასვე მიუთითებს, რომ 1901 წლისათვის წყალტუბოში ორი სააბაზანოა 7 აუზითო.

ამგვარად რიგით მესამე სააბაზანო ე. წ. „გუბერნატორის აბანო“ აგებულია 1901 წლის შემდეგ.

შედარებით ზუსტი ცნობები გვაქვს აბაზანის აგების შესახებ „კოდის წყალზე“ (№3). 1911 წელს ყველაზე ბოლოს უხეირო ხის სააბაზანო სწორედ „კოდის წყალზე“ ააგეს ორი აუზით (რ. დ. კუპცისი). რევოლუციამდელ ლიტერატურაში აბაზანების ნუმერაცია პირიქითაა. „გუბერნატორის“ აბანოს

სამი ნომერი აქვს, „კოდის წყალს“ კი № 2. ეს, როგორც ჩანს, გამოწვეული იყო ღია წყაროთა თავდაპირველი, აბაზანებამდელი ნუმერაციით.

№1 და №2 სააბაზანოები უშუალოდ წყაროებზეა აგებული და მათი კაპტაჟი ბეტონის კედლებშია მოქცეული. მინერალური წყლისაგან სააბაზანოს დაცლა და დაგროვება რაბების ჩაკეტვა-გაღების გზით ხდება.

მარტივია №7 სააბაზანოს ბალნეოტექნიკური მოწყობილობაც.

ღველ სააბაზანოთა ბალნეოტექნიკის პრიმიტიულობა ერთგვარად შეიძლება გამართლებული იყო იმით, რომ ცდილობდნენ არ შეცვლილიყო წყალტუბოს წყლის შემადგენლობა.

შედარებით რთული ბალნეოტექნიკა აქვს №3 და №5 სააბაზანოებს.

№4, №8, №9 სააბაზანოების, განსაკუთრებით №9 სააბაზანოს ბალნეოტექნიკა უფრო რთულია, მინერალური წყლის მიწოდება მთლიანად ავტომატიზებულია.

ამ სააბაზანოებს ბალნეოტექნიკის თვალსაზრისით ერთი საერთო ნაკლი აქვს. სააბაზანოები დაყოფილია სექციებად. თითოეულ სექციაში რამდენიმე კაბინაა და ერთი ავადმყოფიც რომ ღებულობდეს, აბაზანას, აუცილებელი ხდება სექციის დანარჩენი კაბინების ავსება და დაცლა. ბალნეოტექნიკური მოწყობილობათა პრინციპი გაცილებით სრულყოფილია №6 სააბაზანოში.

30-იანი წლების დასაწყისისათვის ყველა სააბაზანოში პროცედურის მიღებას კონტროლს უწევდა ექთანი.

1947—1948 წწ. სააბაზანოები გაერთიანდა ბალნეოლოგიურ განყოფილებად.

1951 წლის 1 იანვრიდან ბალნეოგანყოფილება გარდაიქმნა ბალნეოლოგიურ დაწესებულებათა სამმართველოდ. სამმართველოში შეიქნა სამი განყოფილება. ამ დროისათვის სააბაზანოებში 25 ექიმი მუშაობდა.

1959 წლის ოქტომბერში ბალნეოდაწესებულება და №6 სააბაზანო გაერთიანდა ერთ დამოუკიდებელ ობიექტად—ბალნეოგანყოფილების სახელწოდებით.

1972 წლის 1 იანვრიდან სააბაზანოები ისევ დამოუკიდებელი
ბელია.

ბალნეოლოგიურ ზონაში თავმოყრილია ამჟამად ექსპლოატაციაში მყოფი ცხრა სააბაზანო და მრავალრიცხოვანი, ჯერ აუთვისებელი წყაროები, გრიფონები და ბურღილები.

სააბაზანო № 1

(„ძველი აბანო“)

№ 1 სააბაზანო „ძველი აბანოს“ სახელწოდებითაა ცნობილი (ვ. ბაბე, რ. კუპცისი, ნ. ანდრიაძე და სხვ.). ზოგიერთი ავტორი მას „დიდ აბანოსაც“ უწოდებს.

„ძველი აბანო“ იოსელიანების საგვარეულო საკუთრება იყო და ხალხი „იოსელიანების აბანოს“ ეძახდა (ს. ბერაძე).

№ 1 სააბაზანოს სხვა სააბაზანოთა მიმართ ცენტრალური მდებარეობა აქვს. 1927 წლამდე მდინარე წყალტუბოს მარჯვენა სანაპიროზე ხის შენობა ყოფილა, თუმცა ვ. ბაბეს (1915) ცნობით, „ძველი აბანო“ ხუთგანყოფილებიანი ქვის შენობაა, რომელთაგანაც ორი ქალებისათვის ყოფილა, ორი კაცებისათვის და ერთიც სპეციალურად ებრაელებისათვის.

1927 წელს ხის შენობა ქვის ნაგებობით შეუცვლიათ (არქიტექტორი მ. ვ. ბუზოლლი (მამა), რომელსაც ქვის ფილებით მოგებულ ორი დიდი აუზი ჰქონდა. 1930—1931 წლებში მიაშენეს გასახდელი და მოსაცდელი დარბაზები, გაამაგრეს საკაპტაუო კედლები, რომლებსაც წყალი ეპარებოდა. № 1 სააბაზანოს კაპტაუი პირველყოფილი სახითაა დაცული, რომლის კედლებიც 2,5 მ სიღრმეზე ამოშენებულ ფუნდამენტს წარმოადგენს. სააბაზანო გადაკეთდა 1933 წელს. კერძოდ, ეს ეხება მის გარეგან სახეს.

სააბაზანოს ორი დიდი აუზი აქვს; აუზები უშუალოდ № 1 წყაროზე მდებარეობენ და წყალი გამუდმებით მოედინება აუზის ფსკერიდან და ავსებს მას. მინერალური წყლის საერთო მოცულობა 115 კუბ. მ-ია (65 კუბ. მ - ქალთა და 50 კუბ. მ მამაკაცთა აუზში).

აუზების დაცლა წისქვილის ღარის პრინციპზეა და მისი ნიშ-

ნული აუზებთან შედარებით რამდენადმე დაბლა მდებარეობს. ეს კი პროცედურის დამთავრების შემდეგ აუზების სრული დაცლის შესაძლებლობას იძლევა.

სააბაზანოს აქვს საშხაპო განყოფილება, მოსაცდელი და მოსასვენებელი ოთახები. მამაკაცების აუზში 50 ადგილია, ქალებისაში კი — 60. გამტარიანობა საათში 110 კაცს უდრის. წყლის ტემპერატურა — 34,6°. რადიაქტივობა — 5,8 მახეს ერთეული, დებიტი — 30 ლ/წ.

სააბაზანო № 2*

(„გუბერნატორის აბანო“)

№2 სააბაზანო რევოლუციამდე აფხაძეებს ეკუთვნოდა და ასედაც იწოდებოდა „აფხაძეების აბანო“ (ს. ბერაძე). სააბაზანოს ხის შენობა 1926 წელს შეცვალეს ქვის ნაგებობით. 1930 წელს რეკონსტრუქციის შემდეგ ორი აუზი მოუწყვიათ. 1948 წელს სააბაზანოს აუზებს გაუკეთდათ თალიანი ჭერი. წყალმომარაგება პრინციპში ისეთივეა, როგორც №1 სააბაზანოსი, მხოლოდ აუზები მცირე ზომისაა. ორივე აუზში წყლის მოცულობა 58 კუბ. მეტრია (26—26 კუბ. მ.) წყნარი აბაზანის მიღებისას თითოეულ აუზში 26 კაცი თავსდება.

№2 სააბაზანო იკვებება №2 წყაროს წყლით. 1959 წელს №2 გრიფონზე მოეწყო №35/2 საკაპტაჟო ბურღილი და შეყვანილ იქნა სააბაზანოში. 1962 წლიდან საკაპტაჟო ბურღილებით აბაზანას დაემატა №№10, 26 და 27 გრიფონები. მინერალური წყლის ტემპერატურა 34,2°. რადიაქტივობა—5,8 მახეს ერთ. დებიტი — 30 ლ/წ.

აუზების დაცლა-გავსება, მსგავსად №1 სააბაზანოსი, პრიმიტიულად, აბაზანის გარეთ მოწყობილი რაბის გაღება-ჩაკეტვით ხდება.

1948 წლიდან №2 სააბაზანოს აუზებში ერთი საათის (შესვენების), ხოლო 1960 წ. მთელი დღის განმავლობაში ტარდება წყალქვეშა სამკურნალო ვარჯიში, რის გამოც ცალკეული აუზის ერთდროული გამტარიანობა 18 — 20 კაცამდე მცირდე-

* №2 სააბაზანო 1971 წლის 16 დეკემბერს დაანგრიეს.

ბა. საათში ერთი პროცედურა ინიშნება და აბაზანის საერთო გამტარიანობა 36—40-ს უდრის. აუზში ჩასვლის წინ ჰიგიენური მიზნით ავადმყოფები იღებენ შხაპს. შხაპისათვის გამოყენებულია მინერალური წყალი.

აქ იღებდა თურმე აბაზანებს ქუთაისის გუბერნატორი სლავოჩინსკი და ამიტომ უწოდებიათ მისთვის „გუბერნატორის აბანო“.

სააბაზანო № 3

(„კოდის წყალი“)

1911 წელს „კოდის წყალზე“ აუგიათ ხის შენობა ორი აუზით (რ. კუპცისი). სხვა ცნობებით, ეს სააბაზანო ერთი აუზით (6 კაცისათვის) 1914 წელსაა აგებული, რომელიც მეტად არასახარბიელოდ ყოფილა მოწყობილი (გ. ფ. ჩურსინი).

1926 წელს ძველი ნაგებობის ნაცვლად აუგიათ ქვის შენობა — 8 ინდივიდუალური სააბაზანოთი. ბალნეოტექნიკის თვალსაზრისით № 3 სააბაზანო მეტად ორიგინალურ შთაბეჭდილებას სტოვებს. სააბაზანოს შუაში 6 მეტრის სიღრმის წყლის შემკრები აუზია, რომელშიც გროვდება საკუთრივ № 3 წყაროს წყალი. 1937 წელს შემკრებ რეზერვუარს დაემატა 1933 წელს ძირითადი ქანებიდან მიღებული № 122 და № 125 ბურღილების წყალი. ამ ღონისძიებით № 3 აბაზანის ტემპერატურამ აიწია. 1950 წლიდან № 122 ბურღილი № 3 სააბაზანოზე 1949 წელს მიშენებული „ლუქსის“ ერთ-ერთი კაბინისათვის გამოიყენეს, ხოლო № 125 ბურღილი 1954 წ. ლიკვიდირებულ იქნა და მის ნაცვლად შეიყვანეს მექანიკური ბურღილი № 13/3, რომელიც ძირითადი ქანებიდან 100 მეტრის სიღრმიდანაა მიღებული. აღნიშნული ინდივიდუალური აბაზანები თითქოს ჩაკიდულია წყლის შემკრებ აუზში, საიდანაც ცალკეული სააბაზანოს ძირზე არსებული სპეციალური ხვრელის საშუალებით შემოდის მინერალური წყალი.

თითოეულ ინდივიდუალურ აბაზანაში საათში ორი პროცედურა ტარდება. აბაზანის გამტარიანობა საათში 16 კაცია. მინერალური წყლის ტემპერატურაა 36,8°, რადიაქტივობა—5,8 მახეს ერთეული, დებიტი — 3,7 ლ/წ. აბაზანაში არის მოსაცდელი და მოსასვენებელი ოთახები.

პირველი კლინიკურ-ექსპერიმენტული დაკვირვებანი 1932—1933 წლებში №3 აბაზანის ბაზაზეა ჩატარებული, მინერალური წყლის ტემპერატურა 33,8° ყოფილა.

ამჟამად წყლის ტემპერატურა 34,6°, რადიაქტივობა — 7,8 მახეს ერთეული, დებიტი — 2,7 ლ/წ. №3 აბაზანის ინდივიდუალურ სააბაზანოებში მინერალური წყლის მოცულობა 0,9 კუბ. მეტრია.

№3 სააბაზანოსთან მდებარეობდა ე. წ. „თავის ტკივილის აბანო“, სადაც ავადმყოფები თავს იბანდნენ წინასწარ, აბანოებით მკურნალობის დაწყებამდე (რ. კუპცისი, 1925).

სააბაზანო №4

(„არქიელის აბანო“)

1893—1894 წწ. აშენებული ძველი ფიცრული სააბაზანო 1914 წელს დაუნგრევიათ და ორაუზიანი (ქალებისა და კაცებისათვის) სააბაზანო აუგიათ.

აბანოს ექვსი მესაკუთრე ჰყოლია — სამი იოსელიანი და სამი გრიგოლაშვილი (გ. ჩურსინი).

1958 წელს არქიტექტორი ი. ზაალიშვილის პროექტით აიგო და 1959 წლის სექტემბერში ექსპლოატაციაში შევიდა ახალი სააბაზანო 28 ინდივიდუალური აბაზანით. ახალ სააბაზანოს ორიგინალური გადახურვა აქვს, გარედან მოპირკეთებულია თეთრი ეკლარის ქვით, შიდა კედლები და აბაზანები კი ბუნებრივი მარმარილოთი. თითოეული აბაზანა საათში ერთ, სააბაზანო კი 28 პროცედურას უშვებს. ძირეულად შეიცვალა მინერალური წყლის კაპტაჟიც. №4 წყაროს ბაზაზე გაკეთდა საკაპტაჟო ბურღილები. №1 და №3 ბურღილები სააბაზანოს აწვდის წყალს, №4 ბურღილი კი — კუჭის წყაროს.

№1 და №3 ბურღილებიდან შეკრებილი წყალი ერთი მილის საშუალებით წინა ფასადიდან ცენტრალურად შედის სააბაზანოში, საიდანაც 4 ვენტის საშუალებით შეიძლება გაშვებულ იქნას ინდივიდუალური აბაზანებისაკენ, რომლებიც განლაგებული არიან მარჯვნივ და მარცხნივ. თითოეულ მხარეს 14—14 კაბინაა (7—7 კაბინა ერთმანეთის პირდაპირ).



ყოველი 7 აბაზანისათვის ერთი ვენტილია განკუთვნილია აბაზანების დასაცლელად ორი ვენტილია მოწყობილი თითოეული მხარისათვის (14 — 14 კაბინისათვის) ცალ-ცალკე. ასე რომ, ერთდროულად მხოლოდ 7 კაბინა ივსება, იცლება 14. ვენტილების ჩაკეტვა-გაღება პრიმიტიულად, ხელით წარმოებს.

№ 4 სააბაზანო სეზონურად 1 აპრილიდან 15 ნოემბრამდე მუშაობს. წყლის ტემპერატურა $31,2^{\circ}$, რადიაქტივობა — 5,5 მახეს ერთეული, დებიტი — 11 ლ/წ.

ყველა ავტორი ერთხმად აღნიშნავს, რომ წინათ № 4 სააბაზანო ყველაზე კეთილმოწყობილი ყოფილა (ვ. პ. ბაბე, გ. ფ. ჩურსინი, რ. დ. კუპცისი).

სააბაზანო № 5

(„წისქვილის წყარო“)

ახლანდელი № 5 სააბაზანო აგებულია 1939 წელს არქიტექტორ ნ. პ. სევეროვის პროექტით. წყალმომარაგება ძირითადად № 5 წყაროს ბაზაზეა, რომელსაც 1953 წელს დაემატა თვით სააბაზანოს მარცხენა მხარეს — საშხაფოში გაყვანილი № 8/5 და № 3 და № 9 სააბაზანოებს შორის მდებარე № 10 მექანიკური ბურღილი. წყალი გროვდება აბაზანებს შორის მდებარე შემკრებ აუზში, საიდანაც ნაწილდება მილებით აუზებსა და ინდივიდუალურ აბაზანებში. სააბაზანო მეტად ლამაზი და მოხერხებული ნაგებობაა. აქვს 16 ინდივიდუალური აბაზანა და ორი აუზი. თითოეულ აუზში მინერალური წყლის მოცულობა 22,5 კუბ. მეტრია, ინდივიდუალურ სააბაზანოში კი 0,9 კუბ. მ. აბაზანის წინ ჰიგიენური შხაპის მისაღებად აუზებთან მოწყობილია საშხაპე განყოფილება, რომელიც თბილ წყალს საქვაბიდან იღებს.

ინდივიდუალურ კაბინებში წყლის გაღება-ჩაკეტვა ისევე ხდება, როგორც № 3 სააბაზანოში, იყენებენ ხის საცობებს. აუზებისათვის კი მოწყობილია ხელით მოქმედი ვენტილები. თითოეული ინდივიდუალური აბაზანა საათში ორ კაცს ატარებს, აუზები კი — 18 — 18 კაცს. სააბაზანო საათში სულ 68 კაცს ატარებს. სააბაზანოში არის აგრეთვე გინეკოლოგი-

ური (საშოს მორწყვის), ინჰალიაციური, ჰიდროთერაპიის და მასაჟის კაბინეტები. მინერალური წყლის ტემპერატურა — 34,2°, რადიაქტივობა — 4,5 მახეს ერთეული, დებიტი — 18 ლ/წ.

№ 5 წყარო ერთი-ერთი ძველი წყაროთაგანია და ერთადერთია მდინარე წყალტუბოს მარცხენა სანაპიროზე.

1953—1960 წლებში № 5 სააბაზანოს მარცხენა ფრთის ბოლო ორი აბაზანა გამოყოფილი იყო ექსპერიმენტებისათვის.

სააბაზანო № 6

(„დიდი აბანო“)

200 მეტრის დაშორებით მდებარეობს № 3 სააბაზანოდან სამხრეთით. იქ, სადაც № 6 სააბაზანოა ამჟამად, მის მახლობლად წინათ (1950 წლამდე) საკმაოდ მოზრდილი ტბა იყო. ამიტომ უწოდებენ მას „დიდ აბანოს“ (რ. კუპცისი, ლ. ხასკინი, ლ. სუხარებსკი და სხვ.).

სწორედ ამ ტბის ბაზაზე გაყვანილი საკაპტაჟო 18 (№ № 1—4, 7, 8, 12, 13, 15—24) ბურღილიდან იკვებება მინერალური წყლით № 6 სააბაზანო (თავდაპირველად კი 24 ბურღილი კვებავდა). მინერალური წყალი ამ ბურღილებიდან თავს იყრის და ორი მილის საშუალებით შედის სააბაზანოში. მინერალური წყლის გამოსავალი სააბაზანომდე 100—200 მეტრითაა დაშორებული. № 6 სააბაზანო ბალნეოლოგიური ზონის სიღრმეში მდებარეობს.

სააბაზანო აგებულია არქიტექტორების მ. ვ. ტარასოვისა და გ. მ. ხიმშიაშვილის პროექტით, მშენებლობა დაიწყო 1950 წლის აპრილში. ექსპლოატაციაში შევიდა 1951 წლის 1 იანვრიდან.

მთავარი შესასვლელი, აუზები, საერთო დარბაზები მოპირკეთებულია ქართული ბუნებრივი და ხელოვნური მარმარილოთი, მოზაიკით, კვადრატული კერამიკით, ძვირფასი ხის მასალებით. ფასადი შემკულია ნაძერწი ჩუქურთმითა და ბარელიეფით. იგი ერთ-ერთი საუკეთესო სააბაზანოთაგანია არა მარტო კომფორტის, არამედ მეტად მოხერხებული ბალნეოტექ-

ნიკური მოწყობილობითაც. სააბაზანოში 50 ინდივიდუალური აბაზანა და სამი აუზია. ინდივიდუალური აბაზანები საათში 15 კაცს ატარებს. ექსპლოატაციაშია 48 ინდივიდუალური აბაზანა და ცენტრალური აუზი. მარცხნივ მდებარე აუზი და ერთი აბაზანა სარეზერვოა, საჭიროებისათვის ეს აუზი საათში 15 კაცს ატარებს, ინდივიდუალური აბაზანა კი—ორს. ცენტრალური აუზი დათმობილია წყალქვეშა სამკურნალო ვარჯიშისათვის, აქ საათში ერთი პროცედურა ტარდება. პროცედურას ერთდროულად 20 ავადმყოფი ღებულობს. აუზში ჩასვლამდე ავადმყოფები იღებენ ჰიგიენურ შხაპს.

1963 წელს № 6 სააბაზანოში პირველად დაინერგა ინჟინერ ე. იორამაშვილის მეტად საინტერესო გამოგონება— „კომბინირებული ონკანი“. ამჟამად ეს ონკანი დადგმულია ყველა ინდივიდუალურ აბაზანაში. ონკანის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ აბაზანის ავსებისას ავტომატურად იკეტება წყლის დამცლელი ტრასა და, პირიქით. კაბინის ავსების შემდეგ ონკანში სპეციალურად მონტირებული მარეგულირებელი საყელური გამდინარობას 25 %-ით უზრუნველყოფს.

კომბინირებული ონკანი დადგმულია სამუშაო კორიდორში. გადართვა წარმოებს უბრალოდ სახელურის 90°-ით გადაწევით.

კომბინირებული ონკანი არა მარტო ამცირებს მინერალური წყლის უმიზნოდ ხარჯვას, ამსუბუქებს და აადვილებს აგრეთვე სამედიცინო და ტექნიკური პერსონალის შრომის პირობებს.

სააბაზანოში არის კარგად მოწყობილი კაბინეტები: ფიზიოთერაპიის, ინჰალაციის, ჰიდროთერაპიის, ოთხკამერიანი აბაზანების, გინეკოლოგიური (საშოს მორწყვის), სამკურნალო ფიზიკულტურის (დარბაზში), მექანოთერაპიის, სუბაქვალური აბაზანების, მასაჟის, წყალქვეშა მასაჟის, აგრეთვე მოსაცდელი და დასასვენებელი დარბაზები. აქვეა მოთავსებული კურორტის ჰიდროგეოლოგიური სადგური, ფიზიკურ-ქიმიური და რადიოლოგიური ლაბორატორია, ექსპერიმენტული განყოფილება სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ჩასატარებლად. ამ აბაზანის ბაზაზე (1968—1970) დამუშავდა მი-

ნერალური წყლის ღამის დებიტის შენახვისა და მისი დებიტის საათებში გამოყენების შესაძლებლობის საკითხი.

მინერალური წყლის ტემპერატურა — $34,6^{\circ}$, რადიაქტივობა — 5,2 მახეს ერთეული, დებიტი — 23 ლ/წ.

1954 წელს № 6 სააბაზანოს მარჯვენა ფრთაზე მდებარე აუზისათვის 215 მეტრის სიღრმეზე გაყვანილ იქნა № 11 საკაპტაჟო ბურღილი, რომლის დებიტი იყო 4—6 ლ/წ, ტემპერატურა — 35° , რადიაქტივობა — 0,7 მახეს ერთეული. მარცხენა აუზში კი ჩაირთო № 12 ბურღილი, დებიტი — 6,8 ლ/წ. ტემპერატურა — 35° , რადიაქტივობა — 4 მახეს ერთეული. ამჟამად № 11 ბურღილი ლიკვიდირებულია. № 12 ბურღილი კი საერთო ქსელშია ჩართული, საიდანაც იკვებებიან მინერალური წყლით ორთავე ეს აუზები.

წყალტუბოს წყალს ძლიერ სწრაფად გამოჰყავს მწყობრიდან რკინის მიღები, ამის გამო 1966 წელს რკინის მიღები შეიცვალა პოლიეთილენის მიღებით.

სააბაზანო № 7

აგებულია 1933—1934 წლებში მ. ვ. ბუზოლლის პროექტით. აბაზანაში ორი აუზია, თითოეული 20 კაცი ტევადობით. საათში ერთი პროცედურა (40 კაცი) ტარდება.

მინერალური წყლის მოცულობა ცალკეულ აუზში 12—12 კუბ. მეტრია. აბაზანის აუზები მინერალურ წყალს ღებულობს მდინარე წყალტუბოს მარცხენა ნაპირზე ა. ი. სილინ-ბეკჩურიანის მიერ 1928 წელს გაყვანილი № 48 და № 49 საძიებო ბურღილებიდან. ეს ბურღილები სააბაზანოდან 24—26 მეტრის დაშორებით მდებარეობს. ორივე ბურღილიდან მიღებული წყალი ამოსვლისთანავე ერთდება ერთ მილში და № 7 სააბაზანოსთან კვლავ იყოფა და ჩაედინება ქალებისა და კაცების აუზებში. 1953 წელს სააბაზანოს ნაწილობრივ დაემატა № 10 ბურღილის წყალი.

სააბაზანოს ოთხი ინდივიდუალური აბაზანიდან საათში

ავადმყოფის გამტარიანობით, ამჟამად მხოლოდ ორი მოქმედებს.

აუზებისა და კაბინების დაცლა-გავსება ხის საცობების საშუალებით ხდება. სააბაზანოს აქვს მოსაცდელი და დასასვენებელი ოთახები. აუზებისათვის მიწოდებული წყლის ტემპერატურა — $34,2^{\circ}$, რადიაქტივობა — $6,3$ მახეს ერთეული, დებიტი — 16 ლ/წ. ინდივიდუალური აბაზანები მუშაობენ № 41 საკაბტაეო ბურღილიდან მიღებული წყლით, რომლის ტემპ. — 34° , რადიაქტივობა 14 მახეს ერთ., დებიტი $3,3$ ლ/წ. საშხაპოსათვის გამოყენებულია № № 42 — 43 და 85 ბურღილები.

„სილამაზის წყარო“

№7 აბაზანის წინ მოწყობილია ბიუჯეტი სახელწოდებით „სილამაზის წყარო“ პირის ღრუს, ცხვირის ნესტოებისა და თვალების (დახურული ქუთუთოებით) გამოსავლებლად. იგი იკვებება მინერალური წყლით № 185 ბურღილიდან, რომლის ტემპერატურა $34,2^{\circ}$ -ია, რადიაქტივობა — $3,6$ მახეს ერთ., დებიტი — 1 ლ/წ.

სააბაზანო № 8

1959 წლის 5 სექტემბერს ექსპლოატაციაში შევიდა არქიტექტორ ი. ზაალიშვილის პროექტით აგებული № 8 სააბაზანო. არქიტექტურული თვალსაზრისით იგი ორიგინალურადაა გადაწყვეტილი. საქართველოში ამ სააბაზანოს მშენებლობისას პირველად განხორციელდა დიდი სიმაღლის, 42-ტონიანი გუმბათოვანი გადახურვა ასაწყობი რკინა-ბეტონის კონსტრუქციებისაგან. შემდგომში სახურავის შემსუბუქების მიზნით მოაშორეს თერმულ-საიზოლაციო შრე, რითაც გაძლიერდა კონდენსაცია აბაზანის შიგნით; მის სალიკვიდაციოდ საჭირო გახდა სპეციალური ჰეროს გამოტობი დანადგარების მოწყობა. სააბაზანოს 4 სექტორი აქვს თითოეული 28 ინდივიდუალური სააბაზანოთი. ერთდროულად 112 ავადმყოფი იღებს აბაზანას და ყოველ 50 წუთში ამდენივე ავადმყოფი ტარდება. სააბაზანოს საშუალო გამტარიანობა საათში 134 კაცია. სააბა-

ზანო მინერალურ წყალს იღებს 11 ბურღილიდან (საკაპტა-
ყო ბურღილებია № 5, 6, 28—34. მექანიკურ-საკაპტაყო
№№ 12—14). ბურღილებიდან თავმოყრილი წყალი ერთი მი-
ლის საშუალებით მიემართება სააბაზანოსაკენ, გაივლის სა-
კონტროლო (დებიტის გასაზომ) ჭიხურს და აღწევს წყლის გა-
მანაწილებელ შტურვალამდე, რომელიც სააბაზანოს ცენტრში
მდებარეობს. აქედან მარეგულირებელი, ნახევრავტომატუ-
რი მოწყობილობით წყალი მიემართება სექტორებისაკენ.

შტურვალს ოთხი მდგომარეობა აქვს, რომლის შეცვლითა
ავტომატურად რეგულირდება წყლით ავსება-დაცლა სექ-
ტორებში — როდესაც ერთი სექტორის აბაზანები ირეცხება
და მზადდება პროცედურისათვის, მეორე სექტორი წყლით ავ-
სებას იწყებს, მესამეში — პროცედურა მიმდინარეობს, მეოთხე-
ში კი დასასრულს უახლოვდება.

სექტორებში აბაზანებს გვირილისებური განლაგება აქვთ.
თითოეულ სექტორში ორი-ორი ასეთი „გვირილა“ — 14—14
კაბინით. შტურვალიდან წყალი „გვირილას“ გულამდე აღ-
წევს და აქედან იკვებება წყლით ირგვლივ განლაგებული
„გვირილას“ ფოთლები (კაბინები).

მინერალური წყლის ტემპერატურა — $34,6^{\circ}$, რადიაქტივობა
— 3,6 მახეს ერთ., დებიტი — 24 ლ/წ. გათვალისწინებულია ნაკ-
ლებად კონდიციური. მექანიკურ-საკაპტაყო № 12 ბურღი-
ლის (0,5 მახეს ერთ. რადიაქტივობა) გამოთიშვა და ექვსი ახა-
ლი ბურღილის ჩართვა, რაც ასწევს მინერალური წყლის დები-
ტსა და რადიაქტივობას.

სააბაზანო № 9

მდებარეობას № 6 და № 7 სააბაზანოებს შორის, 50 მეტრზე
№ 3 სააბაზანოს აღმოსავლეთით. ამ ადგილზე არქიტექტორ ვ.
კედრასა და ი. ზაალიშვილის პროექტით 1957 წელში და-
იწყო სააბაზანო კომპლექსის მშენებლობა. ამჟამად ექსპლოა-
ტაციაშია მხოლოდ პირველი რიგი, რომელიც 1965 წლის სექ-
ტემბერში გაიხსნა. მასში 38 ინდივიდუალური აბაზანაა, რომ-
ლებიც საათში 76 ავადმყოფს ატარებენ, და ერთი დიდი აუზი

30 ავადმყოფისათვის საათში ერთი პროცედურის გამტარიანობით. აქვეა პატარა აუზიც 5 ავადმყოფისათვის, რომელიც საჭიროებისას გამოიყენება. საერთო (დიდ) აუზში ჩასვლამდე ავადმყოფები იღებენ ჰიგიენურ შხაპს.

აბაზანას აქვს მოსაცდელი და მოსასვენებელი ოთახები. მინერალური წყლით მარაგდება 24 საკაპტაჟო (№№ 47—70) და სამი მექანიკური (№ № 9, 10, 2058) ბურღილიდან. ბურღილებიდან მიღებული მინერალური წყალი ურთიერთთან შერევის შემდეგ, ორი მილით აღწევს სააბაზანოს მარეგულირებელ ავტომატამდე, საიდანაც წყალი ნაწილდება ცალკეულ სექციებში. თითოეული სექცია 13 ინდივიდუალურ აბაზანას მოიცავს, სააბაზანოში სულ სამი ასეთი სექციაა.

მარეგულირებელი ავტომატის მოტორი მოძრაობაში მოჰყავს ელექტროდენს, იგი განუწყვეტლადაა ჩართული მთელი სამუშაო დღის განმავლობაში და იმგვარადაა მოწყობილი, რომ როდესაც ერთი სექცია ავსებულაა გამდინარობამდე, მეორე სექცია იწყებს ავსებას, მესამე კი იცლება, ირეცხება და მზადდება პროცედურისათვის, 20-წუთიანი პროცედურის დამთავრების შემდეგ ავტომატურად, კონტროლის გარეშე წარმოებს მინერალური წყლის გადაკეტვა და სექციის ყველა ინდივიდუალური აბაზანის დაცლა. მინერალური წყლის ტემპერატურა— $34,6^{\circ}$ რადიაქტივობა—4,8 მახეს ერთ., დებიტი — 23 ლ/წ.

№ 9 სააბაზანო დაპროექტებულია ბალნეოლოგიური ზონის, მომავალში ცენტრალური მოედნის ღერძზე. პროექტით მთელი კომპლექსი ოთხი სააბაზანო შენობისა და ცენტრალური ნაწილისაგან შედგება, რომელიც აერთიანებს ოთხივე კორპუსს. თითოეულ კორპუსში გათვალისწინებულია 40-მდე ინდივიდუალური აბაზანა და ერთი აუზი. ცენტრალურ ნაწილში მოეწყობა ვესტიბული, მოსაცდელი, დასასვენებელი დარბაზები და სხვა სათავსოები. გარედან მოპირკეთდება ეკლარის ქვით, კოლონადების ბაზები—კურსების გრანიტით. სააბაზანოს იატაკის, კედლების, კიბეების და თვით აბაზანებისათვის გამოყენებული იქნება ბუნებრივი მარმარილო.

საკურორტო დაწესებულებანი

წყალტუბო იქნეს განსაკუთრებულ მნიშვნელობას არა მარტო როგორც სამკურნალო კურორტი, არამედ როგორც მძლავრი პროფილაქტიკური კურორტიც.

პროფ. გ. წითლანაძე (1949)

რევოლუციამდე და კარგახანს არც შემდეგ, წყალტუბოში სტაციონარული საკურორტო სამკურნალო დაწესებულება არ ყოფილა. მიუხედავად ამისა, მისი სახელი დღითიდღე იზრდებოდა და სულ უფრო მეტ ავადმყოფს იზიდავდა. ე. აბულაძის ცნობით, 1913 წელს წყალტუბოში 40 ათას ავადმყოფს უმკურნალია.

ამჟამად კურორტ წყალტუბოში საქართველოს კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფილიალი, 16 სანატორიუმი, ერთი პანსიონატი, სულ 4500 საწოლით, საკურორტო პოლიკლინიკა და 8 სააბაზანო — 600 ავადმყოფის გამტარიანობით ერთდროულად.

ავადმყოფთა მკურნალობის საპატოო საქმეს ემსახურება 200-მდე მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, რომელთა შორის არიან მედიცინის მეცნიერებათა დოქტორები და კანდიდატები. რესპუბლიკის დამსახურებული ექიმები, პრავალ-რიცხოვანი საშუალო სამედიცინო პერსონალი.

თუ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წელს წყალტუბოში 4000-მდე ავადმყოფმა იმკურნალა, ამჟამად ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ჯანმრთელობის აღსადგენად 100 000-ზე მეტი ავადმყოფი ჩაშობის.



საქართველოს სსრ ჯანდაცვის სამინისტროს კურორტოლოგიის
და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის წყალტუ-
ბოს ფილიალი

(ლენინის ქ. № 1)

1939 წელს არქიტექტორ ვ. კოლჩინის პროექტით აგე-
ბულ სამსართულიან მონუმენტურ შენობაში გაიხსნა საქარ-
თველოს სსრ ჯანდაცვის სამინისტროს მთავარი საკურორტო
სამმართველოს კლინიკური სანატორიუმი 75 საწოლზე. ომის
შემდეგ საწოლთა რიცხვი 120-მდე გაიზარდა.

საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს განკარგულე-
ბით, რომელსაც ხელს ი. სტალინი აწერდა, კლინიკუ-
რი სანატორიუმის ბაზაზე 1950 წლის 1 აპრილს გაიხს-
ნა საქართველოს კურორტოლოგიისა და ფიზიოთე-
რაპიის ინსტიტუტის ფილიალი 75 საბიუჯეტო საწოლით.
თავდაპირველად ინსტიტუტის ფილიალს ჰქონდა სამი კლინი-
კური განყოფილება — თერაპიული, ნევროლოგიური და გინე-
კოლოგიური. 1957 წელს დამატებით შეიქმნა ბავშვთა კლინი-
კური განყოფილება 25 საწოლზე. ამჟამად ინსტიტუტის ფი-
ლიალს გარდა 100 კლინიკური საწოლისა, აქვს ფიზიოთერა-
პიული განყოფილება, ფიზიკურ-ქიმიური ლაბორატორია, ექ-
სპერიმენტული ლაბორატორია ვივარიუმით, კლინიკურ-დიაგ-
ნოსტიკური, ბიოქიმიური, ჰორმონული ლაბორატორიები და
დამხმარე კაბინეტები.

ინსტიტუტის ფილიალში ჩატარებულ მეცნიერულ ძიება-
თა საფუძველზე წყალტუბოში მკურნალობის ჩვენებებსა
და წინააღმდეგ ჩვენებაში მრავალი არსებითი კორექტივი
იქნა შეტანილი. ინსტიტუტის ფილიალი მაღალკვალიფი-
ციურ დახმარებას უწევს კურორტის ექიმებს სამეცნიერო-
პრაქტიკულ საქმიანობაში.

წყალტუბოს შესახებ კურორტოლოგიის ინსტიტუტისა
და მისი წყალტუბოს ფილიალის მიერ გამოცემულია შრო-
მათა კრებულები, მრავალი მონოგრაფია, ბროშურა.

ინსტიტუტის ფილიალში მრავალი მეცნიერ თანამშრომე-
ლი ეწევა ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას, რომელთა
შორისაც არიან მეცნიერებათა დოქტორები, კანდიდატები.

კურორტოლოგიის ინსტიტუტის ფილიალი რესპუბლიკურ
ბიუჯეტზეა — ავადმყოფებს საგზურები ეძლევათ უფასოდ.

მკურნალობის ვადა სრულსაკონვანებისათვის 20 ლღე, ზავშეღებისათვის — 45 ლღე. თავისი არსებობის მანძილზე კურორტოლოღიის ინსტიტუტის ფილიალმა წყალტუბოში საანღარიშო ხასიათის რვა სამეცნიერო სესია გამართა.

1967 წლის 27—28 ოქტომბერს გაიმართა ფილიალისა და კურორტების მართვის საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს გაერთიანებული სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, მიძღვნილი ოქტომბრის რეღოლუციის 50 წლისთავისადმი.

1970 წლის 20—21 ნოემბერს კურორტმა იზეიმა საქართველოსში კურორტოლოღიის ინსტიტუტის წყალტუბოს ფილიალის დაარსების 20 წელი და ამ ლღესასწაულს მიეძღვნა საიუბილეო სესია.

საქართველოს პროფსაბჭოს კურორტების მართვის რესპუბლიკური საბჭოს სანატორიუმები

სანატორიუმი „რიონი“

(წულუკიძის ქ. № 2)

1925 წელს მ. გ. კალაშნიკოვის პროექტით წყალტუბოში აიღო პირველი კაპიტალური სამსართულიანი შენობა — საქართველოს სოცღაზღვევის დასასვენებელი სახლი.

ღიდ სამამულო ომამღე იგი ეკუთვნოღა საქართველოს სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების სამმართველოს. მაშინ იგი 90 საწოლიანი იყო. ომის შემღეღ გადაკეთღა საკავშირო პროფსაბჭოს № 2 სანატორიუმი (100 საწოლით).

1956 წელს გადაეცა საქართველოს ისრ ჯანღაცვის სამინისტროს მთავარი საკურორტო სამმართველოს და ეწოღა „რიონი“, ხოლო 1960 წ. 1 აპრილიღან — საქართველოს პროფსაბჭოს განკარღუღებაშია.

ავადმყოფთა მომსახურებას უწევს ფიზიოთერაპიული, სამკურნალო ფიზკულტურის, მასაჟის, კლინიკურ-ღიაღნოსტიკური, ფუნქციური ღიაღნოსტიკის, რენტგენის, გინეკოლოღიური, კბილის საექიმო და საპროცედურო კაბინეტები.

ამჟამად სანატორიუმს 100 საწოლი აქვს. სანატორიუმი ზვეუღებრივი ტიპისაა, მკურნალობის ხანგრძღიღვობა 20 ლღეა.

1969 წლიღან სპეციალიზებულღია ნერღული სისტემით დაავადებულთათვის.

სანატორიუმი „დრუშა“

(I რგოლური პრ. № 47)

1937 წლის 21 სექტემბერს არქიტექტორ ს. მ. ლენტოვსკის პროექტით აიგო და ექსპლოატაციაში შევიდა საკავშირო პროფსაბჭოს № 1 სანატორიუმის სამსართულიან შენობათა კომპლექსის მე-3 და მე-4 კორპუსი 250 საწოლით, 1939 წელს დამთავრდა II კორპუსის მშენებლობა, რითაც საწოლთა რიცხვი 375-მდე გაიზარდა, 1940 წელს დამთავრდა 1 კორპუსი; პირველი და მეორე, აგრეთვე მესამე და მეოთხე კორპუსები შეერთებული არიან გადასასვლელებით.

1956 წლიდან სანატორიუმი გადაეცა საქართველოს სსრ ჯანდაცვის სამინისტროს მთავარ საკურორტო სამმართველოს და ეწოდა „დრუშა“.

1960 წლის 1 აპრილიდან საქართველოს პროფსაბჭოს გამგებლობაშია.

1965 წლის 11 ნოემბრიდან მიენიჭა საბაზო სანატორიუმის უფლებები. ხელმძღვანელობს სამეცნიერო-პრაქტიკულ და ორგანიზაციულ მეთოდურ საქმიანობას წყალტუბოში, აგრეთვე კურორტებზე მენჯსა და ცაიში.

სანატორიუმს აქვს ყოველმხრივ აღჭურვილი და კეთილმოწყობილი სამკურნალო-დიაგნოსტიკური კაბინეტები — ფიზიოთერაპიული, სამკურნალო ფიზკულტურის, მასაჟის, კლინიკურ-დიაგნოსტიკური, ბიოქიმიური, რენტგენის, ფუნქციონალური დიაგნოსტიკის, ანგიოპათოლოგიური, გინეკოლოგიური, კბილის საექიმო და სხვ.

სანატორიუმში 1940 წლიდან 460 საწოლი იყო, ომის შემდგომ საწოლთა რიცხვი გაიზარდა ჯერ 500-მდე, 1953—1954 წლებში—550-მდე. 1955 წლიდან — 600-მდე და ბოლოს 685-ს მიაღწია. მკურნალობის ხანგრძლივობა 20 დღეა.

1969 წლიდან საწოლთა თანაფარდობა ასეთია: საყრდენ-მამოძრავებელი — 160 საწოლი, გულსისხლძარღვთა სისტემის — 160, ნერვული სისტემის — 160, გინეკოლოგიური — 140 საწოლით.

სანატორიუმს სამეცნიერო-პრაქტიკული საქმიანობის ძველი და კარგი ტრადიციები აქვს.

სანატორიუმს 1969 წლიდან დამყარებული აქვს კონტაქტი მოსკოვის ქირურგიის ინსტიტუტებთან გულ-სისხლძარღვთა სისტემით დაავადებულთა ოპერაციამდელი და ოპერაციული მკურნალობის შემდგომ პერიოდში წყალტუბოს აბაზანებით მკურნალობის შესაძლებლობისა და ეფექტიანობის დასადგენად.

სანატორიუმი „თბილისი“

(კიროვის ქ. № 2)

არქიტექტორების — არქიტექტურულ მეცნიერებათა დოქტორის ვ. კ. ოლტარჟევსკისა და ბ. ა. სობოლევსკის პროექტით 1950 წლის 12 მარტს დაიწყო და 1951 წლის 30 აპრილს დამთავრდა ხუთსართულიანი 200-საწოლიანი (110 ნომრით) საკურორტო სამმართველოს სასტუმრო „თბილისის“ მშენებლობა. მას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს წყალტუბოს სივრცობრივ კომპოზიციაში.

1960 წლის 1 აპრილიდან საქართველოს პროფსაბჭოს დაქვემდებარებაშია.

1963 წლის 1 იანვრიდან გადაკეთდა ამავე სახელწოდების სანატორიუმად. ამავე დროს (1963—1965 წწ.) ჩატარდა დიდი სარეკონსტრუქციო სამუშაოები, მიაშენეს მთლიანად უკანა ფასადი, რამაც 194 საწოლით გაზარდა სანატორიუმის ტევადობა:

უმაღლესი ტიპის სანატორიუმია. მკურნალობის ხანგრძლივობა 20 დღეა. სანატორიუმის სამკურნალო-დიაგნოსტიკური კაბინეტები და ლაბორატორიები — ფუნქციონალური დიაგნოსტიკის, რენტგენის, ფიზიოთერაპიის, სამკურნალო ფიზკულტურის, კბილის საექიმო, გინეკოლოგიური, მასაჟის, საპროცედურო, კლინიკურ-დიაგნოსტიკური და ბიოქიმიური — აღჭურვილია საჭირო ინვენტარითა და აპარატურით.

1969 წლიდან სანატორიუმის 420 საწოლი მთლიანად სპეციალიზებულია საყრდენ-მამოძრავებელი სისტემით დაავადებულთათვის. რესპუბლიკური მასშტაბით, პირველად სანატორიუმ „თბილისში“ მოეწყო „დიქტოფონური“ ცენტრი სამედიცინო დოკუმენტაციის კარნახით ჩასაწერად (1966).

სანატორიუმი „შახტიორი“

(I რგოლური პრ. № 13)



1952 წლის 11 ნოემბერს ექსპლოატაციაში შევიდა ერთ-ერთი ულამაზესი არქიტექტურული ნაგებობა, საბჭოთა კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს ოთხსართულიანი სანატორიუმი 250 საწოლზე (არქიტექტორები გ. მ. ხიმშიაშვილი და გ. ვ. მელეგი). 1954 წლიდან საწოლთა რიცხვი გაიზარდა 325-მდე. 1956 წლიდან სანატორიუმი გადაეცა საქართველოს სსრ ჯანდაცვის სამინისტროს მთავარ საკურორტო სამმართველოს და ეწოდა „შახტიორი“. 1957 წლისათვის საწოლთა რიცხვი 350 იყო. 1960 წლის 1 აპრილიდან გადაეცა საქართველოს პროფსაბჭოს. სანატორიუმს აქვს კეთილმოწყობილი სამკურნალო-დიაგნოსტიკური კაბინეტები: ფიზიოთერაპიის, სამკურნალო ვარჯიშის, მასაჟისა, წყალქვეშა მასაჟის, ჰიდროთერაპიის, კლინიკურ-დიაგნოსტიკური, ბიოქიმიური, რენტგენის, ფუნქციონალური დიაგნოსტიკისა და სხვ.

ამჟამად სანატორიუმში 350 საწოლია. უმაღლესი ტიპის სანატორიუმია. მკურნალობის ხანგრძლივობა 20 დღეა.

1969 წლიდან სპეციალიზებულია გულ-სისხლძარღვთა სისტემით დაავადებულთათვის. 1970 წლის ივლისიდან სანატორიუმის კარდიოლოგიური-პროფილი შეიცვალა — საყრდენ-სამოძრაო (200 საწოლი) და პერიფერიული ნერვული სისტემის (150 საწოლი) პროფილით.

„ქალეზნოდაროჟნიკი“

(I რგოლური პრ. № 51).

1954 წლის 15 მაისს ვ. ვეჟილოვასა და ნ. პოჩუპკოვას პროექტით აიგო და ექსპლოატაციაში შევიდა საბჭოთა კავშირის გზათა სამინისტროს ხუთსართულიანი სანატორიუმი 250 საწოლზე (მშენებლობა 1948 წ. დაიწყო). საწოლთა რიცხვი თანდათანობით გაიზარდა და დღეისათვის იგი უდრის 330.

სანატორიუმი საკმაოდ ლამაზი, თეთრი ქვით მოპირკეთებული ნაგებობაა და გარეგნულად მართლაც მატარებელს მოგაგონებს, განსაკუთრებით ღამით.

1956 წელს სანატორიუმს „უელეზნოდაროჟნიკი“ ეწოდა და საქართველოს სსრ ჯანდაცვის სამინისტროს მთავარ კურორტო სამმართველოს დაექვემდებარა. 1960 წლის 1 აპრილიდან კი საქართველოს პროფსაბჭოს კურორტების მართვის რესპუბლიკურ საბჭოს გადაეცა. ჩვეულებრივი ტიპის სანატორიუმი, მკურნალობის ხანგრძლივობა 20 დღეა.

სანატორიუმს აქვს სამკურნალო-დიაგნოსტიკური კაბინეტი და ლაბორატორიები: — კლინიკურ-დიაგნოსტიკური, ბიოქიმიური, ფუნქციონალური დიაგნოსტიკის, რენტგენის, ფიზიოთერაპიული, სამკურნალო ფიზკულტურის, მასაჟის, გინეკოლოგიური, სტომატოლოგიური და სხვა, რომელთა აღჭურვილობა შეესატყვისება მოთხოვნების თანამედროვე დონეს; 1969 წლიდან კარდიოლოგიური პროფილისაა.

სანატორიუმი „მეტალურგი“

(ჯიროვის ქ. № 7)

1957 წლის 12 მაისს არქიტექტორების ვ. ა. კედიასა და ნ. მ. სოლოვიოვას პროექტით აიგო და ექსპლოატაციაში შევიდა სანატორიუმი „მეტალურგი“.

სანატორიუმი „მეტალურგი“ დასავლეთის ამფითეატრის ერთ-ერთ გორაკზეა გაშენებული, ორგანულადაა შეხამებული რელიეფთან და კარგად მოჩანს ყველა წერტილიდან.

სანატორიუმი ააგო საბჭოთა კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტრომ. დამთავრებისას გადაეცა საქართველოს სსრ ჯანდაცვის სამინისტროს მთავარ საკურორტო სამმართველოს. 1960 წლის 1 აპრილიდან სანატორიუმი გადაეცა საქართველოს პროფსაბჭოს.

სანატორიუმი ოთხსართულიანია, მოპირკეთებულია ქართული ორნამენტით შემკული ეკლარის თეთრი ქვით, აქვს მდიდრულად მორთული ინტერიერი, წამომდგარია გორაკზე და შორიდან დიდებულ სანახაობას წარმოადგენს მზის სხივებზე მოელვარე თეთრი შენობა.

სანატორიუმს აქვს აგრეთვე ორი კოტეჯი. საწოლი ოთახები ერთი ან ორი ავადმყოფისათვისაა გათვალისწინებული



და ყოველმხრივ კეთილმოწყობილია. უმაღლესი ტიპის ტორიუმია, საგზურები 20 — დღიანია.

სანატორიუმის სამკურნალო-დიაგნოსტიკური კაბინეტები: კლინიკურ-დიაგნოსტიკური, ბიოქიმიური, 2 რენტგენის, ფუნქციონალური დიაგნოსტიკის, ფიზიოთერაპიის, სამკურნალო ფიზკულტურის, მასაჟის და სხვ. აღჭურვილია თანამედროული აპარატებით. ამჟამად იგი 255 საწოლზეა გაშლილი.

1969 წლიდან სპეციალიზებულია საყრდენ-მამოძრავებელი სისტემით დაავადებულთათვის.

სანატორიუმი „იმერეთი“
(ჭავჭავაძის ქ. № 1)

1961 წელს დამთავრდა სანატორიუმისათვის გათვალისწინებული თეთრი ქვით მოპირკეთებული სამსართულიანი შენობა, რომელსაც საფუძველი 1950 წელს ჩაეყარა. სანატორიუმი გაიხსნა 1961 წლის 6 ივლისს. სანატორიუმი „იმერეთი“ აგებულია არქიტექტორების ლ. ჯანელიძისა და ვ. მესხიშვილის პროექტით. ამჟამად საქართველოს პროფსაბჭოს, კურორტების მართვის რესპ. საბჭოს გამგებლობაშია. უმაღლესი ტიპისაა. მკურნალობის ხანგრძლივობა 20 დღეა.

სანატორიუმი „იმერეთი“ წყალტუბოს ჩრდილო-აღმოსავლეთ მალლობზეა აგებული და ადგილმდებარეობითა და არქიტექტურით, შიდა გაფორმებითა და მოწყობილობით ერთ-ერთი საუკეთესოთაგანია.

კლინიკურ-დიაგნოსტიკური, ბიოქიმიური, ფიზიოთერაპიული, რენტგენის, ფუნქციონალური დიაგნოსტიკის, სამკურნალო ვარჯიშის, მასაჟის, გინეკოლოგიური, სტომატოლოგიური. მექანოთერაპიის. ჰიდროთერაპიის, ფსიქოთერაპიის კაბინეტები აღჭურვილია თანამედროვე ინვენტარითა და აპარატურით.

სანატორიუმს ამჟამად 300 საწოლი აქვს. 1969 წლიდან სპეციალიზებულია ნერვული სისტემის დაავადებულთათვის.

სანატორიუმი „ივერია“
(პლესხანოვის ქ. № 1)



1962 წელს ახლადაგებულ შენობაში გაიხსნა სანატორიუმ „შახტიორის“ მეორე კორპუსი.

1967 წლის 1 მაისს კი ცალკე სანატორიუმად გამოიყო და „ივერია“ ეწოდა (არქიტექტორი მ. მ. ბუზოლლი (შვილი). ამჟამად 300 საწოლზეა გაშლილი. სანატორიუმს აქვს კლინიკურ-დიაგნოსტიკური, ბიოქიმიური, ფუნქციონალური დიაგნოსტიკის, ფიზიოთერაპიული, სამკურნალო ვარჯიშის კაბინეტები.

უმაღლესი ტიპის სანატორიუმია. მკურნალობის ხანგრძლივობა 20 დღეა. 1969 წლიდან საყრდენ-სამოძრაო სისტემით დაავადებულთათვისაა სპეციალიზებული.

სანატორიუმი „გელათი“
(კიროვის ქ. № 12).

1964 წელს ექსპლოატაციაში შევიდა სანატორიუმ „მეტალურგიის“ მეორე კორპუსი (225 საწოლით), რომელსაც 1967 წლის 1 მაისიდან ეწოდება სანატორიუმი „გელათი“, სანატორიუმი სამსართულიანია, აგებულია არქიტექტორების ნ. ს. პოლიუდოვისა და ა. პ. აბრამოვის პროექტით. უმაღლესი ტიპის, ნევროლოგიური პროფილის სანატორიუმია. მკურნალობის ხანგრძლივობა 20 დღე.

აქვს — კარგად მოწყობილი სამკურნალო-დიაგნოსტიკური კაბინეტები: კლინიკურ-დიაგნოსტიკური, ბიოქიმიური, ფუნქციონალური დიაგნოსტიკის, ფიზიოთერაპიის, სამკურნალო ვარჯიშის, მასაჟის, კბილის საექიმო და სხვ.

პანსიონატი
(პავლოვის ქ. № 3)

აგებულია 1931 წელს არქიტექტორ მ. ვ. ბუზოლლის (მამა) პროექტით. პირველი სანატორიუმია წყალტუბოში და ასეც ეწოდებოდა 1957 წლამდე — საკურორტო სამმართველოს № 1 სანატორიუმი. თავდაპირველი სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები (1932 წლიდან) ამ სანატორიუმის ბაზაზეა.



შესრულებული. ომამდე 75 საწოლზე იყო, ომის შემდგომ 80 საწოლზე (1954 წლამდე).

1957 წლის 1 იანვრიდან გადაკეთდა პანსიონატად და დაექვემდებარა საკურორტო პოლიკლინიკას. ავადმყოფებს მომსახურებას უწევს პოლიკლინიკის სამკურნალო დიაგნოსტიკური კაბინეტები. პანსიონატს ართროლოგიური პროფილის 100 საწოლი აქვს. მკურნალობის ხანგრძლივობა 20 დღეა.

საკურორტო პოლიკლინიკა

(პავლოვის ქ. № 1)

აგებულია 1930 წელს არქიტექტორ მ. ვ. ბუზოლის (მამა) პროექტით. საკურორტო პოლიკლინიკა ემსახურება კურორტ წყალტუბოში ჩამოსულ ამბულატორიულ ავადმყოფებს.

მკურნალობის ხანგრძლივობა 20 დღეა.

წლის განმავლობაში პოლიკლინიკა ემსახურება 20 ათასამდე ავადმყოფს. პოლიკლინიკას აქვს კეთილმოწყობილი ლაბორატორიები და კაბინეტები: კლინიკურ-დიაგნოსტიკური, ბიოქიმიური, ფუნქციონალური დიაგნოსტიკის, რენტგენის, კბილის სამკურნალო, საპროცედურო, სამანიპულაციო, მასაჟისა და სხვა. პოლიკლინიკას ყავს მაღალკვალიფიციური კადრები ყველა ვიწრო სპეციალობაში, რომლებიც საჭიროებისას საკონსულტაციო დახმარებას უწევს კურორტზე მყოფ ყველა ავადმყოფს.

პოლიკლინიკასთან გახსნილია სასწრაფო დახმარების კაბინეტი-სადღეღამისო მორიგეობით. კაბინეტი ემსახურება ამბულატორიულ მკურნალობაზე მყოფ ავადმყოფებს, აგრეთვე სააბაზანოებს საჭიროების შემთხვევაში.

საქართველოს სსრ ჯანდაცვის სამინისტროს
სანატორიუმები



გავრცობა სანატორიუმი „ცისკარი“
(რგოლური № 8)

1928 წელსაა აშენებული.

1952 წლიდან იგი დაეთმო რევმატიზმით დაავადებულ ბავშვებს. სანატორიუმი თავდაპირველად 50 საწოლზე იყო, 1956 წლიდან საწოლთა რიცხვი გაიზარდა 75-მდე: ამჟამად, გარდა რევმატიზმისა, სანატორიუმში მკურნალობენ პოლიომიელიტითა და ცერებრული დამბლით დაავადებულ ბავშვებს. მოგვიანებით (1961 წ.) სანატორიუმს ეწოდა „ცისკარი“. სანატორიუმს აქვს სამკურნალო-დიაგნოსტიკური კაბინეტები: კლინიკურ-დიაგნოსტიკური ლაბორატორია, ელექტროკარდიოგრაფიის, ფიზიოთერაპიის, სამკურნალო ფიზკულტურისა და მასაჟის კაბინეტები.

ამჟამად საქართველოს სსრ ჯანდაცვის სამინისტროს საკურორტო სამმართველოს ექვემდებარება. მკურნალობის ხანგრძლივობა 30 დღეა.

სანატორიუმი „წყალტუბო“
(I რგოლური, 49)

სანატორიუმი საქართველოს სსრ ჯანდაცვის სამინისტროს მეოთხე სამმართველოს ეკუთვნის. ეს სამსართულიანი შენობა აგებულია 1936 წელს არქიტექტორ მ. ვ. ბუზოლლის (მამა) პროექტით. მასში 1952 წლამდე მოთავსებული იყო საკურორტო სასტუმრო. 1953 წლიდან კი გადაეცა საქართველოს ჯანდაცვის მეოთხე სამმართველოს სანატორიუმისათვის 100 საწოლით.

1958 წელს სანატორიუმი გაფართოვდა. აიგო პოლიკლინიკა.

1967 და 1971 წლებში ექსპლოატაციაში შევიდა არქიტექტორ ლ. დ. გიორგაძის პროექტით აგებული მეორე და მესამე კორპუსის ახალი სამსართულიანი შენობები. ამჟამად საწოლ-

თა რიცხვი 225-ს უდრის. სანატორიუმის პროფილი საერთოა მკურნალობის ხანგრძლივობა 20 დღეა.

სანატორიუმს აქვს ყველა საჭირო სამკურნალო-დიაგნოსტიკური კაბინეტი.

საუწყებო სანატორიუმები

სანატორიუმი „წყალტუბო“

(სუვოროვის ქ. № 8)

1940 წელს არქიტექტორ ნ. პ. სევეროვის პროექტით აიგო დასასვენებელი სახლი. მას მეტად ლამაზი მდებარეობა აქვს. აქედან ხელისგულზე იშლება წყალტუბოს ქვაბული. 1951 წელს შემოდგომაზე აქ ისვენებდა ი. ბ. სტალინი.

1956 წლის ოქტომბერში ამ აგარაკის ერთ-ერთ დამხმარე შენობაში გაიხსნა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის სანატორიუმი 50 საწოლზე. 1962 წელს სანატორიუმს გადაეცა აგარაკის ყველა კორპუსი და საწოლთა რიცხვიც 110-მდე გაიზარდა. ამჟამად გათვალისწინებულია 200 საწოლიანი საძილე კორპუსის აგება.

მკურნალობის ვადა 24 დღეა. სანატორიუმის პროფილი საერთოა.

საბჭოთა კავშირის თავდაცვის სამინისტროს სანატორიუმი

(I რგოლური № 23)

